



“ვამტკიცებ”

შეზღუდული
საზოგადოება
დირექტორი



“ 21 ” 09 “ 2022 წ.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ეისი მეტალს“
სორტული ნაგლინის წარმოების (ლითონის ცხლად დამუშავება) ქარხანა
(ქ. თბილისი, გარდაბნის გზატკეცილი N42, ს/კ 01.19.32.001.116)

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში

შემსრულებელი:
შპს „ეისი მეტალს“

თბილისი 2022

ანოტაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ეისი მეტალს“-ის სორტული ნაგლინის წარმოების (ლითონის ცხლად დამუშავება) ქარხნის მოწყობისა და ექსპლოატაციის საქმიანობის “გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში” წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი დამასაბუთებელი დოკუმენტაციის შემადგენელ ნაწილს, რომელიც მუშავდება “გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი” საქართველოს კანონით, აგრეთვე გარემოსდაცვითი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნებიდან გამომდინარე, დაგეგმილი საქმიანობისათვის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო პროცედურების გასავლელად.

საწარმო ობიექტის განლაგების ტერიტორიაზე, დასახული მიზნებისა და დაგეგმილი ტექნოლოგიური პროცესების შესატყვისი რეგლამენტის განხორციელებით - დაგეგმილი საქმიანობის რეალიზაცია წარმოშობს სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედებას.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში შეფასებულია ამ დაგეგმილი საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი მავნე ნივთიერებების ემისიების დასაშვები საპროექტო ნორმატივები - ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის ქვეყანაში მიღებული ხარისხობრივი ნორმების, სანიტარიულ - ჰიგიენური მოთხოვნების, საწარმო ობიექტის განლაგების რაიონის ეკოლოგიური და კლიმატურ-მეტეოროლოგიური პირობების, ემისიების პარამეტრებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

წინამდებარე დოკუმენტაციაში, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების ოდენობისა და ხასიათის განსაზღვრის მიზნით, დადგენილია ზემოქმედების ფაქტორები, ძირითადი ობიექტები, გავრცელების მასშტაბი, შეფასებულია ზემოქმედების სახეები, მათი წარმოქმნის ალბათობა და მოცემულია ზემოქმედებით გამოწვეული ახალი მდგომარეობის ანალიზი, გამოვლენილია ზემოქმედების შემცირების შესაძლებლობები, ყველა სახის ემისიებისა და ნარჩენების მინიმიზაციის, მართვისა და უტილიზაციის საშუალებები, საწარმოს ფუნქციონირების შესაძლო შედეგები საზოგადოების სოციალურ - ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მოსახლეობის საცხოვრებელ გარემოსა და ჯანმრთელობაზე, აგრეთვე გარემოს ცალკეულ კომპონენტებზე და კომპლექსებზე.

დოკუმენტაციაში განსაზღვრულია ზემოქმედების კონტროლისა და მონიტორინგის მეთოდები, გარემოზე ზემოქმედების დადგენილი და შესაძლო უარყოფითი გავლენის თავიდან აცილების ან შერბილების ღონისძიებები, ქვეყანაში მიღებული, საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზის მოთხოვნების შესაბამისად.

-	ანოტაცია	1
-	გამოყენებულ ცნებათა განმარტებები	4
1	შესავალი	7
1.1	- გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შინაარსი	7
1.2	- გარემოზე ზემოქმედების შეფასების ნორმატიული და სამართლებრივი ასპექტები	9
1.3	- დაგეგმილი საქმიანობის საწარმოო ობიექტის ფუნქციონირების საფუძვლები	13
2	გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზი	15
2.1	- საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა	15
2.2	- საკვლევი ტერიტორიის გეოლოგიური პირობები	21
2.3	- კლიმატურ-მეტეოროლოგიური პირობები	32
2.4	- ზედაპირული წყლები	36
2.5	- ძირითადი ნიადაგები და ლანდშაფტები	37
2.6	- ფაუნა-ფლორა	38
2.7	- დაცული ტერიტორიები	40
2.8	- ეკოლოგიური მდგომარეობის ანალიზი	41
2.9	- წყლის ობიექტების დაბინძურების მდგომარეობა	44
2.10	- ნიადაგის დაბინძურების საკითხები.	44
2.11	- რადიაციული ფონის შეფასება	44
2.12	- გარემოზე ფიზიკური ზემოქმედების ფაქტორები	45
2.12.1	- ხმაური	45
2.12.2	- ვიბრაცია	51
2.12.3	- ელექტომაგნიტური გამოსხივება	52
3	საწარმოო ობიექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების დახასიათება	53
3.1	- საწარმოო ობიექტის ტექნოლოგიური სქემა და რეგლამენტი	53
3.2	- მოთხოვნები ბუნებრივ და ენერგეტიკულ რესურსებზე	60
3.3	- საქმიანობით გამოწვეული ზეგავლენის ანალიზი	61
4	გარემოს მდგომარეობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების ცვლილებების პროგნოზი	62
4.1	- ატმოსფერული ჰაერი	62
4.2	- ზემოქმედება წყლის ხარისხზე	65
4.3	- ზემოქმედება ზედაპირულ წყლებზე	68
4.4	- ნიადაგების და გრუნტის ხარისხობრივი მდგომარეობის შეფასება და ნიადაგების დაბინძურების ფაქტორი	68
4.5	- ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე	70
4.6	- ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე	70
4.7	- ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე	71
4.8	- მიწისქვეშა წყლების დაბინძურების რისკები	72
4.9	- ზემოქმედება კულტურულ მემკვიდრეობაზე	72
4.10	- ზემოქმედება ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებისას და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;	72
5	საქმიანობის შედეგად შესაძლებელი ავარიული სიტუაციების აღბათობა და მათი მოსალოდნელი შედეგების თავიდან აცილების წინადადებები	74
5.1	შესაძლებელი ავარიული სიტუაციების აღბათობის განსაზღვრა და მათი მოსალოდნელი შედეგების შეფასება	76
5.2	ავარიის შესახებ შეტყობინება	7
5.3.	საწარმოს მიმდინარე საქმიანობის პროცესში ფიზიკურ და სოციალურ გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების შერბილების ღონისძიებათა გეგმა	79
6	საქმიანობის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური შედეგების შეფასება	82

7	გარემოში მავნე ნივთიერებათა გამოყოფის შემცირების ტექნიკური საშუალებები	87
8.	ნარჩენების მართვის გეგმა	89
8.1	საკანონმდებლო საფუძველი	89
8.2.	ნარჩენების მართვის გეგმის მიზნები და ამოცანები	89
8.3.	ნარჩენების მართვის იერარქია და პრინციპები	90
8.4.	საქმიანობის განხორციელების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების სახეობები და მიახლოებითი რაოდენობები	91
8.5.	ნარჩენების მართვის პროცესის აღწერა	93
8.6.	ნარჩენების დროებითი შენახვის მეთოდები და პირობები	94
8.7.	ნარჩენების დამუშავება/საბოლოო განთავსება	95
8.8.	ნარჩენებთან უსაფრთხო მოპყრობის ზოგადი მოთხოვნები	97
8.9.	ნარჩენებზე კონტროლის მეთოდები	98
9	ნარჩენი (კუმულაციური) ზეგავლენის კონტროლისა და მონიტორინგის მეთოდები	100
10	პროექტის ალტერნატიული ვარიანტები	101
10.1	- პროექტის განხორციელების ალტერნატიული ვარიანტების ანალიზი	101
10.2	- არაქმედების ალტერნატიული ვარიანტი	102
10.3	- ტექნოლოგიური ალტერნატივები	103
10.4	- ტერიტორიის შერჩევის ალტერნატივები	104
11	გარემოზე დადგენილ ზემოქმედებათა ფაქტორების შედეგად მიღებული “გარემოს მოსალოდნელი მდგომარეობის” პროგნოზი	105
12	საქმიანობის გარემოსდაცვითი მენეჯმენტის და მონიტორინგის გეგმა	106
13	- საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში გარემოს პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენის პირობები	119
13.1	- მოკლევადიანი გაჩერება ან რემონტი	119
13.2	- ექსპლუატაციის ხანგრძლივი შეწყვეტა ან კონსერვაცია	119
13.3	- ობიექტის ლიკვიდაცია	120
14	სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მათ მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასება	121
15	ძირითადი შედეგები და დასკვნები	122
-	გამოყენებული ლიტერატურა	124
-	დანართი: საილუსტრაციო მასალა და გათვლების მონაცემები	125
-	- საწარმოო ობიექტის გენგეგმა გაფრქვევის წყაროთა ჩვენებით	126
-	- საწარმოო ობიექტის განლაგების სიტუაციური რუკა	127
-	- გზს-ს მომზადებაში მონაწილეთა სია	128
-	- სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მათ მიერ წარმოდგენილი მოსაზრებისა და შენიშვნების შეფასება	129
-	- გათვლების მონაცემები	134
-	- იჯარის ხელშეკრულების ასლი (ამონაწერი საჯარო რეესტიდან)	150

გამოყენებულ ცნებათა განმარტებები

1. „გარემო“ – ბუნებრივი გარემოსა და ადამიანის მიერ სახეცვლილი (კულტურული) გარემოს ერთობლიობა, რომელიც მოიცავს ურთიერთდამოკიდებულებაში მყოფ ცოცხალ და არაცოცხალ, შენარჩუნებულ და ადამიანის მიერ სახეცვლილ ბუნებრივ ელემენტებს, ბუნებრივ და ანთროპოგენულ ლანდშაფტებს;

2. „ბუნებრივი გარემო“ გარემოს შემადგენელი ნაწილი, რომელიც მოიცავს ურთიერთდამოკიდებულებაში მყოფ ბუნებრივ ელემენტებს და მათ მიერ ჩამოყალიბებულ ბუნებრივ ლანდშაფტებს;

3. „გარემოს დაცვა“ ადმინისტრაციულ, სამეურნეო, ტექნოლოგიურ, პოლიტიკურ-სამართლებრივ და საზოგადოებრივ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს გარემოში არსებული ბუნებრივი წონასწორობის შენარჩუნებას და აღდგენას, რეგულირება, აღრიცხვა, ლიცენზირება, ზედამხედველობა და კონტროლი;

4. არატექნიკური რეზიუმე – გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის/სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშის მოკლე აღწერა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას დამგეგმავი ორგანოს/საქმიანობის განმახორციელებლის, სტრატეგიული დოკუმენტის/საქმიანობის განხორციელების ადგილის, გარემოზე/ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედების და ანგარიშით გათვალისწინებული სხვა საკითხების თაობაზე, შესრულებულია არატექნიკურ ენაზე და თან ერთვის გრაფიკული და საილუსტრაციო მასალები;

5. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება – გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-13 მუხლის გათვალისწინებით გამოცემული აქტი, რომელიც გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელების სავალდებულო წინაპირობაა.

6. გარემოზე ზემოქმედება – სტრატეგიული დოკუმენტის ან საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული გარემოზე ნებისმიერი ზემოქმედება, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს შემდეგ ფაქტორებზე ზემოქმედებას: ადამიანის ჯანმრთელობა და

უსაფრთხოება, ბიომრავალფეროვნება და მისი კომპონენტები, წყალი, ჰაერი, ნიადაგი, მიწა, კლიმატი, ლანდშაფტი და დაცული ტერიტორიები. გარემოზე ზემოქმედება მოიცავს აგრეთვე კულტურულ მემკვიდრეობაზე ან სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებზე ზემოქმედებას, რომელიც გამოწვეულია მათი ცვლილებით;

7. გარემოზე ზემოქმედების შეფასება (შემდგომ – გზშ) – შესაბამის კვლევებზე დაყრდნობით, გარემოზე შესაძლო ზემოქმედების გამოვლენისა და შესწავლის პროცედურა იმ დაგეგმილი საქმიანობისთვის, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე და რომელიც მიეკუთვნება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის I დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას და, სკრინინგის გადაწყვეტილების შესაბამისად, ამავე კოდექსის II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას. გზშ მოიცავს სკოპინგს, გზშ-ის ანგარიშის მომზადებას, საზოგადოების მონაწილეობას, უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოებთან კონსულტაციების გამართვას, მიღებული შედეგების შეფასების საფუძველზე ექსპერტიზის დასკვნის მომზადებას და მის მხედველობაში მიღებას ამ კოდექსით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისას ან/და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას;

8. გზშ-ის ანგარიში – საქმიანობის განმახორციელებლის ან/და საქმიანობის განმახორციელებლისთვის კონსულტანტის მიერ გზშ-ის პროცესში მომზადებული დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ამ კოდექსით გათვალისწინებულ ინფორმაციას;

9. დაინტერესებული საზოგადოება – საზოგადოება, რომელსაც შესაძლოა აინტერესებდეს სტრატეგიული დოკუმენტის ან საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება ან რომელზედაც ზემოქმედებას მოახდენს ან შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს ამ გადაწყვეტილებამ. დაინტერესებულ საზოგადოებას მიეკუთვნება აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის საქმიანობის მიზნებიც დაკავშირებულია ქვეყანაში გარემოს დაცვის ხელშეწყობასთან;

10. ექსპერტიზა – ექსპერტიზის დასკვნის მომზადების მიზნით, დადგენილი წესით შექმნილი საექსპერტო კომისიის მიერ განხორციელებულ სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებათა ერთობლიობა;

11. კონსულტანტი – პირი, რომელსაც აქვს გზშ-ის ანგარიშის/სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვალიფიკაცია, სამეცნიერო, ტექნიკური და მეთოდური შესაძლებლობები;

12. მინისტრი – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი;

13. სამინისტრო – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

14. საქმიანობა – სამშენებლო, საწარმოო და სამონტაჟო სამუშაოები, ან სხვა საქმიანობა, მათ შორის, მინერალური რესურსების მოპოვება/გადამუშავება, რომელიც გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს გარემოზე;

15. საქმიანობის განმახორციელებელი – პირი, ადმინისტრაციული ორგანო, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც არ არის იურიდიული პირი, რომელსაც სურს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის I დანართით ან/და II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება ან მიმდინარე საქმიანობის გაგრძელება;

16. სკოპინგი – პროცედურა, რომელიც განსაზღვრავს გზშ-ისთვის/სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისთვის მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალს და ამ ინფორმაციის გზშ-ის ანგარიშში/სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშში ასახვის საშუალებებს;

17. სკოპინგის ანგარიში – წინასწარი დოკუმენტი, რომელიც საქმიანობის განმახორციელებელმა ან/და კონსულტანტმა მოამზადა და რომლის საფუძველზედაც სამინისტრო გასცემს სკოპინგის დასკვნას;

18. სკოპინგის განცხადება – წინასწარი დოკუმენტი, რომელიც დამგეგმავმა ორგანომ ან/და კონსულტანტმა მოამზადა და რომლის საფუძველზედაც სამინისტრო და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო გასცემენ სკოპინგის დასკვნებს;

19. რეგულირების ობიექტი – ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში ლიცენზიის/ნებართვის მფლობელი (მათ შორის, საქმიანობის სუბიექტი), სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, რომელზედაც ვრცელდება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობითა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი მოთხოვნები;

20. ბიომრავალფეროვნება – გარეული ცხოველებისა და ველური მცენარეების მრავალსახეობა, ხმელეთის, ზღვის და წყლის ეკოსისტემები და ეკოლოგიური კომპლექსები, რომლებიც მოიცავენ მრავალფეროვნებას სახეობის ფარგლებში, სახეობათა შორის და ეკოსისტემებში.

21. წყალსარგებლობა – წყლის რესურსების გამოყენება სასმელი, საყოფაცხოვრებო-კომუნალური, სამრეწველო, ენერგეტიკული, სასოფლო-სამეურნეო, სატრანსპორტო, სამეცნიერო, კულტურული, რეკრეაციული, ბალნეოლოგიური, სპორტის, ტურიზმის და სხვა მიზნებისთვის ტექნიკური საშუალებებით ან უამისოდ;

22. წყალმოსარგებლე – ფიზიკური ან იურიდიული პირი (საკუთრების და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის განურჩევლად), მათ შორის უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც ახორციელებს წყალსარგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

23. ატმოსფერული ჰაერი – ატმოსფერული გარსის ჰაერი, შენობანაგებობებში არსებული ჰაერის გარდა;

24. მავნე ნივთიერება – ადამიანის საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული ნებისმიერი ნივთიერება, რომელიც ახდენს ან რომელმაც შეიძლება მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობასა და ბუნებრივ გარემოზე;

25. ნარჩენი - ნებისმიერი ნივთიერება ან ნივთი, რომელსაც მფლობელი იშორებს, განზრახული აქვს მოიშოროს ან ვალდებულია მოიშოროს;

26. სახიფათო ნარჩენები - ნარჩენები, რომლებსაც აქვს ნარჩენების მართვის კოდექსის მე-3 დანართით გათვალისწინებული ერთი ან მეტი მახასიათებელი;

27. საყოფაცხოვრებო ნარჩენები - საოჯახო მეურნეობის მიერ წარმოქმნილი ნარჩენები;

28. თხევადი ნარჩენები - თხევად მდგომარეობაში არსებული ნარჩენები;

29. ევროკავშირის კანონმდებლობა – ევროპის ეკონომიკური გაერთიანების საბჭოს, ევროგაერთიანების საბჭოს, ევროკავშირის საბჭოსა და ევროპარლამენტის მიერ მიღებული დებულებები, გადაწყვეტილებები და დირექტივები;

30. საქართველოს „წითელი ნუსხა“ – საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულ, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა სახეობების ჩამონათვალი;

31. საქართველოს „წითელი წიგნი“ – დოკუმენტი, რომელიც შეიცავს მონაცემებს საქართველოს „წითელნუსხაში“ შეტანილი სახეობების სტატუსის, გავრცელების არეალის, ადგილსამყოფლის, რაოდენობის, გამრავლების ადგილებისა და პირობების, მათ დასაცავად მიღებული ზომებისა და დაცვისათვის აუცილებელი ღონისძიებების, აგრეთვე მათთან დაკავშირებული რისკფაქტორების შესახებ;

32. გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობები – გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა ბიოლოგიური სახეობები ან/და მათი სხვა ტაქსონომიური ერთეულები, რომელთა რაოდენობისა და გავრცელების არეალის შემცირება, საარსებო პირობების გაუარესება ან სხვა გარემოებები მიუთითებს მათი დაცვისა და კვლავწარმოებისათვის სასწრაფო ზომების მიღების აუცილებლობაზე;

33. „არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობები“ (ამპ) - არის მეტეოროლოგიური პირობები (ნისლი, უქარო ამინდი ან ქარის მცირე სიჩქარე, ტემპერატურული ინვერსია და ა.შ.), რომლებიც ზღუდავენ ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გავრცელებას და, ამდენად, ხელს უწყობენ მავნე ნივთიერებათა დაგროვებას და შესაბამისად დაბინძურების გაზრდას მოცემულ ტერიტორიაზე;

1. შესავალი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ეისი მეტალს“-ის სორტული ნაგლინის წარმოების ქარხნის მოწყობისა და ექსპლოატაციის საქმიანობის „გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში“ წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი დამასაბუთებელი დოკუმენტაციის შემადგენელ ნაწილს, რომელიც მუშავდება “გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს საქართველოს კანონით, აგრეთვე გარემოსდაცვითი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნებიდან გამომდინარე - დაგეგმილი საქმიანობისათვის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო პროცედურების გასავლელად.

დოკუმენტაციის მიზანია, დაგეგმილი საქმიანობისათვის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მისაღებად დამუშავებული გარემოსდაცვითი ტექნიკური დოკუმენტაციის, საწარმოო ობიექტის მოწყობისა და ოპერირების პირობების სპეციფიკის გათვალისწინებით, რისთვისაც აუცილებელია ობიექტურად განისაზღვროს გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების ძირითადი ასპექტები, შესწავლილ იქნეს საწარმოს განლაგების რაიონის ბუნებრივი და სოციალური გარემოს არსებული მდგომარეობა, შეფასდეს ამ გარემოზე დაგეგმილი საქმიანობის საწარმოო ობიექტის გავლენის მასშტაბები და წარმოდგენილ იქნეს მოსაზრებები უარყოფითი ზემოქმედების პარამეტრების რეგულირების მისაღწევად.

აღნიშნული საქმიანობის სპეციფიკაზე დაყრდნობით, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, საწარმოო ობიექტის განლაგების რაიონისათვის დამახასიათებელი მეტეოროლოგიურ-კლიმატური და არსებული ეკოლოგიური პირობების გათვალისწინებით, საფუძვლიანი ანალიზია ჩატარებული ბუნებრივი და სოციალური გარემოს ცალკეული კომპონენტების დაცვის უზრუნველსაყოფად.

1.1. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შინაარსი

წარმოდგენილი დოკუმენტაცია შედგება თავფურცლის, ანოტაციის, სარჩევის, გამოყენებულ ცნებათა განმარტებების და შინაარსობრივი თავებისაგან, აგრეთვე გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალისა და დანართებისაგან.

კერძოდ:

1. საქმიანობის განხორციელების ადგილის აღწერას, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად), აგრეთვე დაგეგმილი საქმიანობისთვის გარემოს არსებული მდგომარეობის აღწერას;
- ინფორმაციას მიწის კატეგორიისა და მიწათსარგებლობის ფორმის შესახებ, როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე;
- ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის ფიზიკური მახასიათებლების (სიმძლავრე, მასშტაბი და საწარმოო პროცესი, მათ შორის, შესაძლო საწარმოებელი პროდუქციის ოდენობა, მოთხოვნილი ენერჯია, წარმოებისას გამოსაყენებელი მასალა და ბუნებრივი რესურსები და სხვა) შესახებ;
- ინფორმაციას სამონტაჟო სამუშაოებისა შესახებ;

- ინფორმაციას მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე შესაძლო უარყოფითი შედეგების და ემისიების (როგორებიცაა წყლის, ჰაერის, მიწის და წიაღისეულის დაბინძურება, ხმაური, ვიბრაცია, ელექტრომაგნიტური გამოსხივება, სითბური გამოსხივება, რადიაცია) შესახებ;
 - ინფორმაციას იმ ნარჩენების სახეების, მახასიათებლებისა და რაოდენობის შესახებ, რომლებიც შესაძლოა წარმოიქმნას მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, ნარჩენების მართვის სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ დამატებით ინფორმაციას;
2. ინფორმაციას გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ყველა გონივრული ალტერნატივის შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით, მათ შორის, უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივის შესახებ, რომელიც გულისხმობს საქმიანობის განუხორციელებლობის შემთხვევაში გარემოს არსებული მდგომარეობის ბუნებრივად განვითარების აღწერას, რომლის შეფასებაც შესაძლებელია არსებული ინფორმაციის გამოყენებით და მეცნიერულ ცოდნაზე დაყრდნობით;
 3. ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისას გარემოზე შესაძლო მნიშვნელოვანი ზემოქმედების შესახებ, მათ შორის, მოსახლეობაზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე, ბიომრავალფეროვნებაზე (მათ შორის, მცენარეთა და ცხოველთა სახეობები, ჰაბიტატები, ეკოსისტემები), წყალზე (მათ შორის, ჰიდრომორფოლოგიური ცვლილებები, რაოდენობა, ხარისხი), ჰაერზე, ნიადაგზე (მათ შორის, ნიადაგის მოხსნა), მიწაზე (მათ შორის, ორგანული ნივთიერებები, ეროზია, დატკეპნა, დეგრადაცია), კლიმატზე (მათ შორის, სათბურის გაზების ემისია), ლანდშაფტზე, კულტურულ მემკვიდრეობაზე (მათ შორის, არქიტექტურული და არქეოლოგიური ასპექტები) და მატერიალურ ფასეულობებზე ზემოქმედების შესახებ;
 4. ინფორმაციას გარემოზე ზემოქმედებით გათვალისწინებულ კომპონენტებსა და მათ ურთიერთქმედებაზე დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით შესაძლო პირდაპირი და არაპირდაპირი, კუმულაციური, ტრანსსასაზღვრო, მოკლევადიანი და გრძელვადიანი, პოზიტიური და ნეგატიური ზემოქმედების შესახებ, რომელიც გამოწვეულია:
 - ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით – წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენებით, ამ რესურსების ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით;
 - გარემოს დამაბინძურებელი ფაქტორების ემისიით, ხმაურით, ვიბრაციით, რადიაციით, ნარჩენების განთავსებითა და აღდგენით;
 - გარემოზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე ან კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების რისკებით (მაგალითად, ავარიის ან კატასტროფის შემთხვევაში);
 - სხვა, არსებულ საქმიანობასთან ან დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედებით;
 - საქმიანობის კლიმატზე ზემოქმედებით და კლიმატის ცვლილებით განპირობებული საქმიანობის მოწყვლადობით;
 - გამოყენებული ტექნოლოგიით, მასალით ან/და ნივთიერებით;
 5. ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შედეგად შესაძლო ინციდენტების განსაზღვრისა და მათი შედეგების შეფასების შესახებ, მათ შორის, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების სამოქმედო გეგმას;

6. სამოქმედო გეგმას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების შედეგების, მათი თავიდან აცილების, შემცირების, შერბილებისა და კომპენსაციის ღონისძიებათა შესახებ. ინფორმაცია უნდა მოიცავდეს როგორც საქმიანობის განხორციელების, ისე შემდგომი ექსპლუატაციის ეტაპებს;
7. გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასებას და მისი აუცილებლობის დასაბუთებას, რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში;
8. ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში ამ საქმიანობის დაწყებამდე არსებული გარემოს მდგომარეობის აღდგენის საშუალებების შესახებ;
9. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების აღწერას, რომელიც განპირობებულია ავარიისა და კატასტროფის რისკის მიმართ საქმიანობის მოწყვლადობით;
10. სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასებას;
11. ინფორმაციას კვლევების მეთოდოლოგიის და გარემოს შესახებ ინფორმაციის წყაროების თაობაზე;
12. ამ ნაწილის „1“-„11“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის მოკლე არატექნიკურ რეზიუმეს, საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

1.2. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ნორმატიული და სამართლებრივი ასპექტები

საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის ამღლეა არ უნდა განხორციელდეს გარემოზე უარყოფითი და შეუქცევადი ზემოქმედების ხარჯზე. სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების აგების დროსაც კი აუცილებელია გარემოს დაცვის, გარემოსდაცვითი ღონისძიებების გათვალისწინება და ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება.

ადამიანთა ჯანსაღ გარემოში ცხოვრების გარანტიას იძლევა საქართველოს კონსტიტუცია (მუხლი 37). ამ უფლებათა დაცვა გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით. შესაბამისი კანონები ასახავენ სახელმწიფოს პოზიციას ამ სფეროში, ითვალისწინებენ საერთაშორისო რიგი კონვენციების მოთხოვნებს და მოიცავენ გარემოს დაცვის ღონისძიებათა მთელ კომპლექსს.

ქვემოთ ჩამოთვლილია საქართველოს კანონები და საერთაშორისო კონვენციები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია გარემოზე ზემოქმედების წინასწარი შეფასების ამოცანასთან.

საერთაშორისო კონვენციები გარემოს დაცვის სფეროში

1. კონვენცია „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ ორჰუსი, დანია, 23–25 ივნისი 1998წ

2. სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ, ბაზელი, 1989 წ.
3. კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ ;
4. კონვენცია ცხოველთა მიგრირებადი სახეობების დაცვაზე
5. კონვენცია გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობათა საერთაშორისო ვაჭრობის თაობაზე;
6. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია;
7. გაეროს კონვენცია გაუდაბნობასთან ბრძოლის შესახებ იმ ქვეყანაში, რომლებიც განიცდიან სერიოზულ გვალვას და/ან გაუდაბნობას, განსაკუთრებით აფრიკაში;
8. კონვენცია შორ მანძილზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ;
9. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის კიოტოს ოქმი;
10. 1987 წლის მონრეალის ოქმი ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებების შესახებ;
11. კონვენცია „საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი, ტერიტორიების შესახებ“ რამსარი, 02.02.1971წ
12. შავი ღვის დაცვის კონვენცია;
13. 1985 წლის ვენის კონვენცია ოზონის შრის დაცვის შესახებ.

გარემოსდაცვითი კანონები

გარემოს დაცვის სფეროში საქართველოში მიღებულია შემდეგი კანონები:

გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნას საქართველოს შემდეგი გარემოსდაცვითი კანონები (იხილეთ ცხრილი 1)

ცხრილი 1. საქართველოს გარემოსდაცვითი კანონების ნუსხა

მიღების წელი	კანონის დასახელება	სარეგისტრაციო კოდი	საბოლოო ვარიანტი
1996	საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ	360.000.000.05.001.000.184	06/09/2013
1997	საქართველოს კანონი წყლის შესახებ	400.000.000.05.001.000.253	06/09/2013
1999	საქართველოს კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ	420.000.000.05.001.000.595	05/02/2014
2003	საქართველოს კანონი ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ	370.010.000.05.001.001.274	19/04/2013
2003	საქართველოს კანონი „ცხოველთა სამყაროს შესახებ“	410.000.000.05.001.000.186	06/09/2013
2005	საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ	300.310.000.05.001.001.914	20/02/2014
2015	ნარჩენების მართვის კოდექსი	360.160.000.05.001.017.608	21/12/2016
2017	გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი.	360160000.05.001.018492	01.01. 2018

გარემოსდაცვითი ქვენორმატიული აქტები

საქართველოში მოქმედებს გარემოს დაცვის სფეროში სტანდარტების კომპლექსი. გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივი ნორმები ადგენენ მოთხოვნებს გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობისადმი და განსაზღვრავენ ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსათვის მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს წყალში, ჰაერსა და ნიადაგში.

საქართველოს მთავრობის დადგენილებებით მიღებული იქნა გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ტექნიკური რეგლამენტები, რომლებიც მოცემულია 2 ცხრილში.

ცხრილი 2. გარემოსდაცვითი სტანდარტების ნუსხა

რეგისტრაციის თარიღი და ნომერი	საქართველოს მთავრობის დადგენილების სათაური, რომლითაც დამტკიცდა ტექნიკური რეგლამენტი	მიღების თარიღი და სარეგისტრაციო ნომერი
10.01.2014 №17	ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე	31.12.2013 №408
10.01.2014 №22	დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე	31.12.2013 №413
10.01.2014 №23	ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდრ) ნორმების გაანგარიშების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე	31.12.2013 №414
10.01.2014 №43	დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე	31.12.2013 №435
10.01.2014 №76	გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების თაობაზე	03.01.2014 №17
10.01.2014 №80	აირმტვერდამჭერი მოწყობილობის ექსპლუატაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე	03.01.2014 №21
10.01.2014 №97	ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების ინვენტარიზაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე	06.01.2014 №42
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „ნიადაგის ნაყოფიერების დონის განსაზღვრის“ და „ნიადაგის კონსერვაციისა და ნაყოფიერების მონიტორინგის“ დებულებები, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის დადგენილებით	06.01.2014 N415
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „წყალდაცვითი ზოლის შესახებ“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №440 დადგენილებით	06.01.2014 N440
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „საქართველოს მცირე მდინარეების წყალდაცვითი ზოლების (ზონების) შესახებ“	06.01.2014 N445
04.08.2015	კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესი	მინისტრის ბრძანება N211
11.08.2015	ნარჩენების აღრიცხვის წარმოების, ანგარიშგების განხორციელების ფორმა და შინაარსი	11.08.2015 N422
17.08.2015	სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხა და კლასიფიკაცია	17.08.2015 N426
27.04.2021	„დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და“	27.04.2021 N 192

	ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე "საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N413 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.	
--	--	--

გარემოს დაცვის სტანდარტები და ნორმატიული აქტები

საქართველოში გამოიყენება გარემოს დაცვის სფეროში, სტანდარტების კომპლექსი. გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივი ნორმები ადგენენ მოთხოვნებს გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობისადმი და განსაზღვრავენ ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსათვის მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს წყალში, ჰაერსა და ნიადაგში.

წყალსატევში მავნე ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების (ზდკ) სიდიდეები რეგლამენტირებულია. მათ საფუძველზე შესაძლებელია მავნე ნივთიერებების წყალში ჩაშვების (ემისიის) ზღვრულად დასაშვები ნორმების დადგენა.

«საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის წესები» დამტკიცებულია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მიერ 17.09.96წ. №130 ბრძანებით. ჩაშვება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ჩასაშვები წყალი არ გამოიწვევს წყალსატევში დამაბინძურებელი ნივთიერებების შემცველობის გაზრდას დადგენილი ნორმების ზევით და წყლის მომხმარებელი უზრუნველყოფს ჩამდინარე წყლების გაწმენდას გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილ დონემდე. წყლის ხარისხზე საქართველოში შემუშავებული სტანდარტები მთლიანობაში შეესაბამება სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) რეკომენდაციებს.

ჰაერის ხარისხის სტანდარტები დაფუძნებულია საქართველოს კანონზე «ატმოსფერული ჰაერის შესახებ. აქროლადი ნივთიერებების ზდკ ჰაერში დადგენილია 0,5 და 24 საათის საშუალო სიდიდეების მიხედვით და ეფუძნება ქიმიური ნივთიერებების იმ კონცენტრაციას, რომელიც არ ახდენს ზეგავლენას ადამიანის რეფლექტორულ სუნთქვით აქტივობაზე.

გარემოსდაცვითი სტანდარტები ადგენენ გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის მოთხოვნებს და განსაზღვრავენ წყალში, ჰაერსა და ნიადაგში ადამიანის ჯანმრთელობისთვის და გარემოსთვის სახიფათო ნივთიერებების მაქსიმალურ დასაშვებ კონცენტრაციებს (გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის შესახებ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №297/ნ ბრძანება).

სახიფათო ნივთიერებების ემისიის/ჩაშვების (წყალში, ჰაერში, ნიადაგის გარემოში) კვოტები განსაზღვრავს დაბინძურების ყველა წყაროსთვის ემისიის/ჩაშვების მაქსიმალურ დასაშვებ სიდიდეებს. ნივთიერებების ჩამონათვალი მოცემულია გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დამტკიცებული (№139, 25.11.1997) სტაციონარული დაბინძურების წყაროებიდან გაფრქვეული სახიფათო ნივთიერებების საშიშროების კოეფიციენტის დამტკიცების შესახებ დებულების შესაბამისად.

წყლის ობიექტებში სახიფათო ნივთიერებების მაქსიმალური დასაშვები კონცენტრაციების კვოტები (MPC) განისაზღვრება საქართველოს კანონით წყლის შესახებ. მაქსიმალური დასაშვები კონცენტრაციები განისაზღვრება კონკრეტული ობიექტისთვის ინდივიდუალურად.

საქართველოში მოქმედი წყლის ხარისხის სტანდარტები შეესაბამება ISO რეკომენდაციებს.

1.3. საწარმოს ფუნქციონირების საფუძვლები

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის II დანართის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და II დანართის მე-4 პუნქტის 4.2 ქვეპუნქტის თანახმად (ლითონის ცხლად დამუშავება) ის ექვემდებარება სკრინინგის პროცედურის გავლას. საწარმომ გაიარა სკრინინგის პროცედურა და სკრინინგის გადაწყვეტილების თანახმად (ბრძანება 2-1048, 06/11/2019 წ.) ის დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. ყოველივე აქედან გამომდინარე დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე შემდგომ შემუშავდა სკოპინგის ანგარიში. სკოპინგის დასკვნის საფუძველზე (N26, 23.03.2020 წ.) მომზადებული იქნა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საქმიანობა დაგეგმილია ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, გარდაბნის გზატკეცილი N42-ში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, რომელიც წარმოადგენს შპს „გრაალი-92“-ის კუთვნილ ტერიტორიას. შპს „ეისიი მეტალსი“ გეგმავს ხელშეკრულების საფუძველზე ტერიტორიაზე არსებულ N1 შენობაში, რომლის ფართობი შეადგენს 2719.09 მ²-ს გლინვის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას (ს/კ 01.19.32.001.116, იხ. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან). აღნიშნული შენობა განთავსებულია სამრეწველო ზონა 1-ში.

ქ. თბილისის მერიაში დაწყებულია პროცედურები აღნიშნული ტერიტორიის სამრეწველო ზონა 1-ის სამრეწველო ზონა 2-რად კატეგორიის ცლილებებთან დაკავშირებით (წერილის ნომერი 01222002893-67).

საპროექტო ლითონის დამუშავების საწარმოდან უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებულია 15 მეტრით. აღნიშნულ საკადასტრო კოდით ტერიტორიაზე განლაგებულია მეტალოკონსტრუქციების ქარხანა და სასაწყობო მეურნეობა.

ქარხნის მაქსიმალური წლიური წარმადობა შეადგენს 20 000 ტონას. საწარმო მუშავებს წელიწადში 240 დღე. ძირითადი საამქრო იმუშავებს 2 ცვლით, 12 საათიანი სამუშაო რეჟიმით.

ზოგადი ცნობები საწარმოს ობიექტის შესახებ მოცემულია ცხრილ 1.3.1-ში.

ძირითადი მონაცემები საწარმოს საქმიანობის შესახებ

№	მონაცემთა დასახელება	დოკუმენტის შედგენის მომენტისათვის
1.	ობიექტის დასახელება	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ეისიი მეტალს“-ის სორტული ნაგლინის წარმოების ქარხანა
2.	ობიექტის მისამართი: ფაქტიური: იურიდიული:	ქ. თბილისი, გარდაბნის გზატკეცილი N42, ს/კ 01.19.32.001.116 საქართველო, ქ. თბილისი, გარდაბნის გზატკეცილი N42
3.	საიდენტიფიკაციო კოდი	406186176
4.	GPS კორდინატები	X=491984.00; Y=4611406.00
5.	ობიექტის ხელმძღვანელი: გვარი, სახელი ტელეფონები: ელ. ფოსტა:	ირჰან ჯალილ კენტი ტელ: 599 69-82-28; 595 25-10-18 (ვახტანგი მაისურაძე) irhan@aceforwarding.ge
6.	მანძილი ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე:	დასახლებული პუნქტი 15 მეტრი.
7.	ეკონომიკური საქმიანობა:	ცხელი გლინვის წარმოება
8.	გამომშვებული პროდუქციის სახეობა	სორტული ნაგლინი
9.	საპროექტო წარმადობა:	6.944 ტ/სთ ანუ 20000 ტ/წელ სორტული ნაგლინი
10.	მოხმარებული ნედლეულის სახეობები და რაოდენობები:	20000 ტ/წელ ლითონის ცილინდრული სხმულები
11.	მოხმარებული საწვავის სახეობები და რაოდენობები:	700000 მ ³ /წელ ბუნებრივი აირი
12.	სამუშაო საათების რაოდენობა წელიწადში	2880 საათი
13.	სამუშაო საათების რაოდენობა დღე-ღამეში	12 საათი

2. გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზი

გარემოზე ზემოქმედების შესწავლისა და შესაძლო გავლენის შეფასებისათვის აუცილებელია საწარმოს განლაგების ტერიტორიისათვის ბუნებრივ-ეკოლოგიური ანალიზის ჩატარება. ზემოქმედების ქვეშ მოქცეული გარემოს არსებული მდგომარეობის დახასიათებისათვის

ამ ანალიზის შემადგენელი ნაწილებია:

- საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა;
- გეოლოგიური მდგომარეობის შეფასება;
- კლიმატურ-მეტეოროლოგიური პირობები;
- ჰიდროლოგიური ქსელის დახასიათება;
- ფაუნა და ფლორა;

- ეკოლოგიური მდგომარეობის ანალიზი (მათ შორის: გარემოს კომპონენტების – ატმოსფერული ჰაერის, წყლის ობიექტების და ნიადაგის საწყისი მდგომარეობის, აგრეთვე გარემოზე ფიზიკური ზემოქმედების ხარისხობრივი მაჩვენებლების შეფასება);

ჩამოთვლილი ეკოლოგიური ფაქტორების გარდა, დაგეგმილი საქმიანობის ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის შესაძლებელია განსაკუთრებული მნიშვნელობის სხვა ფაქტორების არსებობაც, რაზედაც ყურადღების გამახვილება აუცილებელია გარემოსდაცვითი დამასაბუთებელი დოკუმენტაციის დამუშავების პროცესში.

საწარმო ობიექტის დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, ბუნებრივი გარემოს არსებული მდგომარეობის მოსალოდნელი ზეგავლენის ქვეშ მოქცეული ცალკეული კომპონენტების ზოგადი ხარისხობრივი და რაოდენობრივი მახასიათებლები აღწერილია მოცემული თავის კონკრეტულ პარაგრაფებში.

2.1. საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა

შპს“ ეისიი მეტალს“ დაგეგმილი აქვს მეტალურგიული საგლინავი საწარმოს მოწყობა- ექსპლუატაცია ქ. თბილისში სამგორის რაიონის გამგეობა, გარდაბნის გზატკეცილი 42- ის ტერიტორიაზე. ტერიტორია ეკუთვნის შპს“ გრაალი 92“-ს, კომპანიას მისგან იჯარით აღებული აქვს 2742,9 მ² ტერიტორია (აზომვითი გეგმა იხილეთ ნახაზ 2.1.1), არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი (ს/კ 01.19.32.001.116) შენობა 1, ტერიტორიის GIS კოორდინატები: X=493320 Y=4612395.

აღნიშნულ ტერიტორიაზე განთავსებულია ასევე შპს „მეგობრობა“-ს ლუდსახარში საამქრო.

ტერიტორია მდებარეობს (S-1) სამრეწველო ზონაში. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ 60 მეტრში ჩრდილოეთით გადის რკინის გზის მაგისტრალი თბილისი-ბაქო. 15 მეტრში ჩრდილოეთით გადის ფრონეს ქუჩა, 65 მეტრში დასავლეთით გადის ქინძმარაულის ქუჩა, 340 მეტრ სამხრეთით გარდაბნის გზატკეცილი. უახლოესი დასახლება განლაგებულია 15 მ. მოშორებით. ტერიტორია შემოფარგლულია 3 მეტრის სიმაღლის ბეტონის გალავნით.

საწარმოო ტერიტორიიდან მდინარე მტკვარი დაშორებულია 740 მეტრით. თბილისის საავიაციო ქარხნის აეროდრომიდან 580 მეტრით.




საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო კოდი: **01.19.32.001.116**
 განცხადების ნომერი: **882020511974**
 მომზადების თარიღი: **11/08/2020**

ნაკვეთის დანიშნულება: **არასასოფლო საშენი**
 ფართობი: **56762 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**



ტერიტორიის სიტუაციური სქემა დაცილების მანძილების დატანით მოცემულია სურათზე 2.1.1 ხოლო საწარმოს განთავსების ტერიტორიის დეტალური სიტუაციური სქემა სურათზე 2.1.2.

საწარმოს საკადასტრო კოდით განსაზღვრული ტერიტორიის კუთხეთა წვეროების კოორდინატები მოცემულია ცხრილ 2.1.1-ში.

ცხრილი 2.1.1.


#	X	Y
1	2	3
1	493267.95	4612440.19
2	493279.56	4612442.40
3	493483.12	4612339.43
4	493483.56	4612333.20
5	493510.79	4612316.27
6	493453.51	4612199.75
7	493336.50	4612197.63
8	493222.64	4612180.29
9	493287.79	4612172.32
10	493287.35	46.12167.87
11	493271.71	4612164.77
12	493272.59	4612155.42
13	493235.98	4612159.91
14	493235.55	4612182.60
15	493255.67	4612208.39
16	493177.99	4612237.83
17	493182.94	4612271.64

საწარმოს განთავსების შენობის (შენობა 1/1-ს ნაწილი) ნახაზი მოცემულია ნახაზ 2.1.2-ში.

შ.პ.ს. "რეესტრი"
 შტაბის ქ. №6
 ტელ. 230 55 00 , 579 78 80 80

LTD "REESTRI"
 N6 MTKVARI st.
 T. 230 55 00 , 579 78 80 80

შენიშნა ნაგებობა 1/1
 ნაწილი



აზომვა შესრულებულია
 დამკვეთის მიერ მითითებულ ფართზე

საერთო ფართი 2742.99 კვ.მ

დამკვეთი	ს/ს "გრაალი-92"	დირექტორი	
მისამართი	ქალაქი თბილისი გარდაბნის გზატკეცილი №42	დამკვეთი	
		თარიღი 01/06/2017	მასშტაბი 1:100

ნახაზ 2.1.2. საწარმოს განთავსების შენობის (შენიშნა 1/1-ს ნაწილი).

სურათი 2.1.1. სიტუაციური გეგმა 500 მეტრიანი რადიუსის ჩვენებით



სურათი 2.1.2. შპს „ეისიო მეტალს“-ის სორტული ნაგლინის წარმოების ქარხნის განთავსების ტერიტორიის დეტალური სიტუაციური სქემა



2.2. საკვლევი ტერიტორიის გეოლოგიური პირობები

2.2.1. ადგილმდებარეობა, საზღვრები და მისასვლელი გზები.

საწარმო მდებარეობს მდებარეობს ქ. თბილისში სამგორის რაიონის გამგეობა, გარდაბნის გზატკეცილი 42-ის ტერიტორიაზე. ტერიტორია ეკუთვნის შპს "გრაალი 92"-ს, კომპანიას მისგან იჯარით აღებული აქვს 2742,9 მ² ტერიტორია, არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი (ს/კ 01.19.32.001.116) შენობა 1, ტერიტორიის GIS კოორდინატები: X=493320 Y=4612395.

ტერიტორია მდებარეობს (S-1) სამრეწველო ზონაში. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ 60 მეტრში ჩრდილოეთით გადის რკინის გზის მაგისტრალი თბილისი-ბაქო. 15 მეტრში ჩრდილოეთით გადის ფრონეს ქუჩა, 65 მეტრში დასავლეთით გადის ქინძმარაულის ქუჩა, 340 მეტრ სამხრეთით გარდაბნის გზატკეცილი. უახლოესი დასახლება განლაგებულია 15 მ. მოშორებით. ტერიტორია შემოფარგლულია 3 მეტრის სიმაღლის ბეტონის გალავნით.

2.2.2. გეომორფოლოგია

თბილისი სამხრეთ კავკასიაში მდებარეობს 41°43' ჩრდილოეთ განედზე და 44°47' აღმოსავლეთ გრძედზე. დედაქალაქი აღმოსავლეთ საქართველოში მდინარე მტკვრის ორივე სანაპიროზეა განლაგებული. ქალაქი ზღვის დონიდან 380-770მ სიმაღლეზეა, მას ამფითეატრის ფორმა აქვს და სამი მხრიდან მთები ემიჯნება. ჩრდილოეთით ესაზღვრება საგურამოს ქედი, აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით - ივრის ზეგანი, ხოლო სამხრეთით და დასავლეთით - თრიალეთის ქედის განშტოებები. ქალაქი მდინარე მტკვრის გაყოლებაზე 33 კმ მანძილზეა გაჭიმული და 372 კმ² ფართობს მოიცავს

მდინარე დედაქალაქს ორ ნაწილად ჰყოფს. თბილისის მარცხენა მხარე როგორც ტერიტორიულად, ისე მოსახლეობის რაოდენობით მარჯვენას აღემატება. მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე განლაგებული ქალაქის ნაწილი ავჭალის რაიონიდან მდინარე ლოჭინამდეა გადაჭიმული. მარჯვენა სანაპირო რელიეფურად თრიალეთის ქედის განშტოებებითაა წარმოდგენილი, რომლებიც ციცაბოებად ეშვება მტკვრის ხეობისკენ. ამიტომ მარჯვენა სანაპიროზე ქალაქის გაშენებისთვის მნიშვნელოვან დაბრკოლებას მთები წარმოადგენენ. ამგვარ გეოგრაფიულ გარემოში შეინიშნება ძალზე მჭიდროდ დასახლებული მონაკვეთები მაშინ, როცა ქალაქის სხვა რაიონები, რთული ტოპოგრაფიული რელიეფის გამო, აუთვისებელი რჩება. ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი ზღვის დონიდან 350 მეტრზე მდებარეობს, მთაწმინდის ფერდობის დასახლებული ტერიტორიები კი ზღვის დონიდან 550-600 მეტრზეა განლაგებული.

თბილისის რელიეფი კომპლექსურია. მისი მრავალფეროვნება გეომორფოლოგიური აგებულების შედეგია. რელიეფმა საუკუნეების განმავლობაში ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად მკვეთრი ტრანსფორმაცია განიცადა. ბუნებრივ ტექტონურ მოვლენებსა და პროცესებს შორის გახლავთ მეწყერი, ღვარცოფი, ეროზია და წყალდიდობა. მეწყერულ-გრავიტაციული მოვლენები და ღვარცოფები ის ძირითადი

ფაქტორებია, რომლებიც ისტორიულად ხელს უშლის თბილისის განვითარებას და აზიანებს ქალაქის ინფრასტრუქტურას.

გამოიყოფა - მცირე კავკასიონის და ქვემო ქართლის ვაკის სახით. პირველი მორფოლოგიური ელემენტი წარმოდგენილია თელეთის ქედის სახით, რომელიც თრიალეთის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთი დაბოლოებაა და მოიცავს საკვლევი

ტერიტორიის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს (მცირე ნაწილს). თელეთის ქედი თანდათანობით დაბლდება აღმოსავლეთის მიმართულებით და დასახლება სოღანლულის მიმდებარედ ერწყმის მდ. მტკვრის ალუვიურ ვაკეს. აღმოსავლეთით ქედის დამირვა გამოწვეულია პალეოგენური ასაკის წყების იგივე მიმართულებით დამირვასთან. ქედი ასიმეტრიული აგებულებისაა ჩრდილოეთი ფერდი უფრო დახრილია (20-450) ვირდე სამხრეთი (15-200). თელეთის ქედზე დაიკვირება თანხვედრა მორფოლოგიური ფორმასა და ტექტონიკურ სტრუქტურას შორის. კერძოდ მისი თხემი თანხვედრილია თელეთის ანტიკლინისა. ქედის თხემური ნაწილი ხაისათდება გორაკ-ბორცვიანი რელიეფით, რომელთა აბსოლუტური სიმაღლეები 440მ-დან 606 მეტრამდე მერყეობენ. ქედის ჩრდილოეთი კალთის შეფარდებითი სიმაღლე მდ. მტკვართან მიმართებაში 80-200 მეტრის ფარგლებში მერყეობს.

საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში ქვემო ქართლის ვაკეს უჭირავს მნიშვნელოვანი მონაკვეთი, რომელიც თავის მხრივ წარმოდგენილია ასურეთი-წალასყურის ვაკით და რომელიც მოქცეულია თელეთისა და იაღლუჯას ქედებს შორის. ტერიტორია წარმოდგენილია მდ. მტკვრის ტერასული ზედაპირებით (I და II მარცხენა ჭალისზედა ტერასები). ვაკის ზედაპირი დახრილია სამხრეთ-აღმოსავლეთით (100-მდე) იაღლუჯას ქედის ძირისაკენ. თავის მხრივ ვაკის ზედაპირი უმნიშვნელოდაა გართულებული მცირე ხევებით (ცივისხევი, სატირმაცასხევი), რომლებიც მოედინებიან სოფ. სოფ. სოღანლულის და კრწანისის გავლით.

გეომორფოლოგიურად საკვლევი უბანი წარმოადგენს მდინარე მტკვრის ძველი მარცხენა მეორე ტერასის ნაწილს, რომლის რელიეფიც ტექნოგენურია, მოსწორებულია და რომლის აბსოლიტური ნიშნულები მერყეობენ 390.0-390.10 მეტრის დიაპაზონში

3.2.3. გეოლოგიური აგებულება, ტექტონიკა.

საქართველოს ტექტონიკური დარაიონების სქემის მიხედვით (ე. გამყრელიძე 2000წ) საკვლევი ტერიტორია მოქცეულია მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემის სამხრეთ და ბოლნისის ქვეზონებში. ტერიტორიის გეოლოგიური აგებულებაში მონაწილეობას ღებულობენ ქანები შუა ეოცენიდან დაწყებული მეოთხეულის ჩათვლით.

შუა ეოცენის ვულკანოგენურ-დანალექი ფორმაციის ნალექები გავრცელებულია საკვლევი ტერიტორიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. აღნიშნული ასაკის ნალექების გავრცელება ემთხვევა თელეთის ანტიკლინის გავრცელების არეალს და წარმდგენილი არიან ფენოვანი ტუფებით და ტუფობრექჩიებით. წყებას ახასიათებს ფაციალური სახეცვლილებები და ძლიერ დისლოცირებულნი არიან.

ზედა ეოცენის ნალექები გავრცელებული არიან საკვლევი ტერიტორიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. ლითოლოგიურად ზედა ეოცენი დანაწევრებულია ორ წყებად: ქვედა

- ნავთლულის და ზედა თბილისის ნუმულიტებიან წყებებად. საკვლევი ტერიტორიაზე გვხვდება მხოლოდ პირველი წყება, რომელიც ძირითადად წარმოდგენილია მერგელებით, არგილიტისმაგვარი თიხებით ქვიშაქვებისა და ტუფქვიშაქვების შუაშრეებით. თელეთის ქედის მიდამოებში ნავთლულის წყების საერთო სიმძლავრე 150-260მ-ის ფარგლებში მერყეობს.

ოლიგოცენის (ხადუმის ჰორიზონტი) ნალექები გავრცელებული არიან საკვლევი ტერიტორიის ცენტრალურ ნაწილში, რომლებიც ძირითადად წარმოდგენილია თაბაშირიანი თიხებით და იშვიათად ქვიშაქვებით. ხადუმის ჰორიზონტის თიხების სიმძლავრეები 50-70მ-ს აღწევს.

ქვედა მიოცენის ნალექები, რომლებიც გავრცელებულია საკვლევი ტერიტორიის სამხრეთ ნაწილში, წარმოდგენილია ორი ლითოლოგიური წყებით: ქვედა ქვიშაქვოვანი წყება განეკუთვნება საყარაულოს ჰორიზონტს, ხოლო ზედა თითქმის მთლიანად აგებული მაიკოპის ჰაბიტუსის თიხებით, განეკუთვნება კოწახურის ჰორიზონტს. საყარაულოს ნალექები თითქმის ჰორიზონტალურად ადევს ოლიგოცენის ასაკის ნალექებს. ჰორიზონტი აგებულია მძლავრი კვარც-არკოზული შემადგენლობის ქვიშაქვებით, თიხებისა და მიკროკონგლომერატების შუაშრეებით. ქვიშაქვებისთვის დამახასიათებელია მოთეთრო ფერი. ჰორიზონტის საერთო სიმძლავრე 600მ-ს აღწევს. კოწახურის ასაკის ნალექები წარმოდგენილია არაკარბონატული თხელფენოვანი მუქი ფერის თიხებით, რომლებიც გამოფიტვის დროს 600მ-ს აღწევს. კოწახურის ასაკის მუქი ფერის თიხებით, რომლებიც გამოფიტვის დროს იშლებიან წვრილ ყავისფერ ფურცლებად. ცალკეულ ადგილებში აღნიშნულ თიხებში გვხვდება დამსხვრეული ქვიშაქვებისა და ქვიშების შუაშრეები. ჰორიზონტის სიმძლავრე საშუალოდ 600 მეტრია.

ზემოთ აღწერილი ნალექები საკვლევი უბანზე თითქმის ყველგან გადაფარულია სხვადასხვა სიმძლავრის მეოთხეული ასაკის ნალექებით, რომლებიც თავის მხრივ წარმოდგენილია ალუვიური გენეზისის მდ. მტკვრის I და II ნარცხენა ჭალისზედა ტერასებით და დელუვიურ-პროლუვიური გენეზისის ნალექებით. ალუვიური გენეზისის ნალექები საკვლევი ტერიტორიაზე ყველაზე ფართო გავრცელებით სარგებლობენ და წარმოდგენილია სხვადასხვა მერგელოვანი კარგად დამუშავებული კენჭნარებით კაჭარის ჩანართებით (5%) და ქვიშა-ხრემის შემავსებლით (15-20%). საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში აღნიშნული ნალექების სიმძლავრეები 10-15მ-ს აღწევენ.

დელუვიური-პროლუვიური ნალექები საკვლევი ტერიტორიაზე ძირითადად გავრცელებული არიან მის ჩრდილოეთ ნაწილში და წარმოდგენილია თიხოვანი გრუნტით (თიხა-თიხნარი) ღორღის და ხვინჭის ჩანართები (20-25%). მათი სიმძლავრეები ვიზუალური შეფასებით 3-5 მ-ის ფარგლებში მერყეობენ.

საკვლევი ტერიტორიაზე ყველაზე მსხვილ ტექტონიკურ ერთეულს წარმოადგენს ბედენა-თელეთის ანტიკლინის აღმოსავლური დაბოლოება, რომელიც თავის მხრივ

საკვლევი ტერიტორია იყოფა თელეთისა და თაბორის ანტიკლინებად. აღნიშნული ანტიკლინები თავის მხრივ გაყოფილია არალრმა კრწანისის და წალასყურის სინკლინებით.

2.2.4. ჰიდროგეოლოგია

საქართველოს ჰიდროგეოლოგიური დარაიონების სქემის მიხედვით (ი. ბუაჩიაძე 1979წ) საკვლევი ტერიტორია მოქცეულია საქართველოს ბელტის არტეზიული აუზის მარნეული- გარდაბნის არტეზიული აუზის ფოროვანი და ნაპრალოვანი წყლების გავრცელების რაიონში და აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის წყალდაწვენიტი სისტემის თბილისის წყალდაწვენიტი სისტემის ნაპრალოვანი და ნაპრალოვან-კარსტული წყლების გავრცელების რაიონში.

საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში შესაძლებელია გამოვყოთ 2 ძირითადი ჰიდროგეოლოგიური კომპლექსი: ძირითადი ქანების წყალშემცველი კომპლექსი და მეოთხეული ნალექების წყალშემცველი კომპლექსი. ძირითადი ქანების წყალშემცველი კომპლექსი წარმოდგენილია ეოცენის, ოლიგოცენის და მიოცენის წყალგაუმტარი ლაგუნურ-ზღვიური და ვულკანოგენური ნალექებით: ტუფები, ტუფბრექჩიები, თიხები, ქვიშაქვები, მერგელები, არგილიტები. შუა ეოცენის ვულკანოგენური ქანებიდან მტკნარი - ცივი წყლების იშვიათი გამოსავლები გვხვდება ხევების ბორტების ძირში გამონაჟურის სახით. გამონაკლისს წარმოადგენს იგივე ასაკის ქანებში გავრცელებული ღრმა ცირკულაციის თერმული წყლები. ქიმიური შემადგენლობის მიხედვით მიწისქვეშა წყლები, რომლებიც დაკავშირებულია შუა ეოცენის ქანებთან ძირითადად ორი ტიპისაა:

1. თერმული სამკურნალო წყლები, რომელთა გამოსავლები დაკავშირებულია ტუფოგენურ წყლებთან, ქიმიური შემადგენლობის მიხედვით ეს წყლები ქლორიდულ-ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმია, მინერალიზაციით 0.25-0.34 გ/ლ და სულფატურ-ქლორიდულ-ნატრიუმ-კალციუმია, მინერალიზაციით 0.68-0.87 გ/ლ. მათი ტემპერატურები მერყეობენ 26°C – 50°C-მდე.

2. ცივი წყლების გამოსავლები რომლებიც დაკავშირებულია ვულკანოგენურ ქანებთან ჰიდროკარბონატულ-კალციუმ-მაგნიუმია, მინერალიზაციით 1.4გ/ლ-ან 2.6 გ/ლ-მდე და სულფანურ-ჰიდროკარბონატულ-კალციუმ-ნატრიუმია, მინერალიზაციით

0.6 გ/ლ. ტემპერატურა მერყეობს 6°C-18°C-მდე. აღსანიშნავია, რომ შუა ეოცენის ღრმა ცირკულაციის მიწისქვეშა წყლები ხასიათდებიან ნახშირწყალბადის მაღალი შემცველობით 12 მგ/ლ-მდე. ეს წყლები ზშირად შეიცავენ აგრეთვე მეთანს 19.26-22%- მდე და აზოტს.

ოლიგოცენ-ქვედა მიოცენის ასაკის ნალექები: თიხები, ქვიშაქვები, მერგელები, არგილიტები ხასიათდებიან დაბალი კოლექტორული თვისებებით. ზოგიერთი ქვიშაქვოვანი სახესხვაობებიც კი, რომლებიც შეიცავენ კარბონატებს, პრაქტიკულად წყალგაუმტარია. მიწისქვეშა წყლები აღნიშნულ ნალექებში ცირკულირებენ ძირითადად გამოფიტვის ადგილობრივი ეროზიული კვეთის დონის ზევით და ლოკალურად

ვლინდებიან წყალსადინარების (მდინარეები, ხევები) ბორტებზე, სადაც კვეთენ მცირე სიმძლავრის წყალშემცველ შრეებს. წყაროების დებიტი უმნიშვნელოა (ლიტრის მეთასედი წამში), ხოლო წყაროები რომლებიც დაკავშირებულია ნაპრალოვან ქვიშაქვებთან, შედარებით მაღალდებიტიანია (0.3მ/წმ-მდე). მიწისქვეშა წყლები ცვალებადი ქიმიური შემადგენლობისაა, მათი მინერალიზაცია ძირითადად განპირობებულია ქანებში თაბაშირის შემცველობით. წყლები სულფატური, სულფატურ-ჰიდროკარბონატული, სულფატურ ქლორიდული და ნატრიუმიან-კალციუმიან-მაგნიუმიანია საერთო მინერალიზაციით 3.2-6.6 გ/ლ. იგი ხასიათდება ძლიერ მაღალი სიხისტით – $\rho_{33}=7$.

მეოთხეული ასაკის ნალექებით აგებული წყალშემცველი კომპლექსის ქანებიდან (ალუვიური, დელუვიური, პროლუვიური) საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში ძირითადად გაწყლოვანებულია მდ. მტკვრის მაღალი ტერასები. აღნიშნულ ნალექებთან დაკავშირებული წყლის გამოსავლები ძირითადად მცირედებიტიანია. ქიმიური შემადგენლობის მიხედვით წყლები სულფატურ-ჰიდროკარბონატული და კალციუმიან-ნატრიუმიან-მაგნიუმიანია. საერთო მინერალიზაცია მერყეობს 1.0-დან 1.0 გ/ლ ფარგლებში.

საწარმოს ფუნქციონირების პერიოდში გზის მიწისქვეშა წყლების დაბინძურება პრაქტიკულად გამორიცხებულია.

2.2.5. საინჟინრო გეოლოგია

საკვლევი უბანზე წინა წლებში ჩატარებული კვლევების შესახებ ცნობილი არ არის.

საკვლევი უბნის მიმდებარედ, წინა წლებში ჩატარებული იქნა მთელი რიგი საინჟინრო გეოლოგიური კვლევებისა, რომლის შესახებ მასალებიც გამოყენებული იქნა წინამდებარე დასკვნის შედგენისას.

საკვლევი უბნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების შესწავლის მიზნით, ნორმატიული დოკუმენტების ს.ნ და წ 1.02.07-87 და პნ 02.01-08 მოთხოვნათა გათვალისწინებით, ტერიტორიის ფარგლებში, მექანიკური სვეტური ბურღვის მეთოდით, საბურღი დანადგარით უგბ-1ვს, დიამეტრით 160 მმ-მდე, მშრალი წესით, კერნის უწყვეტი ამოღებით, გაიბურღა სამი (##1-3) ჭაბურღილი, სიღრმით 12.0 მეტრი თვითოეული, ხოლო საკვლევი უბანზე არსებული ძველი (დაკონსერვებული) სამირკვლების მდგომარეობის შესწავლის მიზნით გაყვანილი იქნა ორი (##4 და 5) შურფი, სიღრმით 5 მეტრი თვითოეული.

გეოლოგიური გამონამუშევრების საერთო მეტრაჟმა შეადგინა 46.0 გრძივი მეტრი.

საველე სამუშაოების დამთავრების შემდეგ გეოლოგიური გამონამუშევრები ლიკვიდირებულია ამონაყარი გრუნტით.

საველე სამუშაოების დროს, ლაბორატორიული შესწავლისათვის, უბანზე გავრცელებული მსხვილნატეხოვანი გრუნტიდან აღებულია დარღვეული სტრუქტურის სამი ნიმუში, ხოლო ძირითადი ქანებიდან დაურღვეველი სტრუქტურის ექვსი ნიმუში, რომლის კვლევის შედეგებიც თან ერთვის წინამდებარე დასკვნას კრებსითი ცხრილის (მსხვილნატეხოვანი გრუნტი) და სამუშაოს ანგარიში (ძირითადი ქანები) სახით.

ძირითადი ქანების ლაბორატორიული კვლევები ჩატარდა გ. წულუკიძის სახელობის გრუნტების ლაბორატორიაში, (აკრედიტაციის მოწმობა **GAC – TL – 0071**).

ტოპოძირად გამოყენებულია დამკვეთის მიერ გადმოცემული ტოპოგეგმა, მასშტაბით 1:500-თან, შესრულებული შპს „რეესტრის“ მიერ.

საველე სამუშაოები ჩატარდა ინჟინერ გეოლოგ ბესო დევდარიანის ხელმძღვანელობით.

საკვლევი უბანი დაათვალიერა და წინამდებარე დასკვნა შეადგინა ინჟინერ გეოლოგმა გოჩა ტატიანაშვილმა.

საკვლევი უბანი მდებარეობს ს/ს „გრაალი 92“-ის (ს/ნ 208145782) დარეგისტრირებულ ტერიტორიაზე (წარმოადგენს მის ერთ-ერთ ნაწილს).

საკვლევ უბანზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე რაიმე უარყოფითი ფიზიკურ-გეოლოგიური პროცესები (მეწყერი, კარსტი, ჩაქცევები და სხვა) არ შეიმჩნევა.

ჩატარებული საველე სამუშაოების მონაცემების მიხედვით გეოლოგიური გამონამუშევრების სვეტების და უბნის ლითოლოგიურ-გეოლოგიური ჭრილები, აგრეთვე საკვლევ უბანზე არსებული ძველი (დაკონსერვებული) საძირკვლების გაშიშვლების ნახაზები.

როგორც ჭრილებიდან ჩანს, მიწის ზედაპირიდან 3.50-4.10 მეტრის სიღრმიდან, 7.50-8.50 მეტრის სიღრმემდე გავრცელებულია ალუვიური (aQ_{IV}) ნალექები კენჭნაროვანი გრუნტი – კაჭარ-კენჭნარი, საშუალო და მსხვილი ფრაქციის, თიხნარის შემავსებლით 30%-მდე (ფენა 3).

კენჭნაროვანი გრუნტის ჩონჩხური მასალა კარგად დამუშავებულია, წარმოდგენილია ძირითადად დანალექი ქანებით. ალუვიური ნალექები, ჭაბურღილი #1-3-ში, (მიწის ზედაპირიდან 0.60-0.80 მეტრის სიღრმიდან, 3.50-3.70 მეტრის სიღრმემდე) ზემოდან გადაფარულია დელუვიური ნალექები (dQ_{IV}) წარმოდგენილი მუქი ყავისფერი, მყარი კონსისტენციის, კენჭების 10%-მდე მინარევიანი თიხნარებით (ფენა 2).

ზემოთაღწერილი ნალექები, ყველა გეოლოგიურ გამონამუშევარში (ჭაბურღილი #1-3-0.60-0.80 მეტრის, ხოლო შურფ #4 და 5 -4.0-4.10 მეტრის სიღრმეზე) გადაფარულია 0.60-4.10 მეტრის სიღრმის ტექნოგენური (tQ_{IV}) გრუნტით, ნაყარით, წარმოდგენილი ასფალტის თხელი ფენით, საბალასტე გრუნტით და თიხნარით სუსტად შეკავშირებული სამშენებლო ნაგვით (ფენა 1).

ზემოთაღწერილი ნალექები, მიწის ზედაპირიდან 7.50-8.50 მეტრის სიღრმიდან გამოკვლეულ 12.00 მეტრის სიღრმემდე შემოსაზღვრულია ზედა ეოცენური (P_2^3) ასაკის ძირითადი ქანებით, წარმოდგენილი თხელშრეებრივი თიხოვანი ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობით (ფენა 4). ძირითადი ქანები ეროზიულ ზედაპირიდან ძლიერ გამოფიტულია, ხოლო სიღრმეში გამოფიტვის ხარისხი მცირდება და გადადის სუსტად გამოფიტულში.

ძირითადი ქანების ფენაში, ქვიშაქვები წვრილი და საშუალო მარცვლოვანია, მუქი და ღია ფერისაა, თიხოვან ცემენტზე, ხოლო არგილიტები ფირფიტისებრი აღნაგობისაა,

მუქი შავი და ყავისფერი ფერისაა. მათი შეფარდება ძირითადი ქანების წყებაში თითქმის თანაბარია 50/50-ზე.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული სავსე სამუშაოების დროს მოხდა საკვლევი უბანზე არსებული ძველი (დაკონსერვებული) საძირკვლების გაიშვლება, რის შედეგადაც დადგინდა რომ საძირკვლები წერტილოვანი (ცალკემდგომი) ტიპისაა, მასალა რკინაბეტონი, ჩაღრმავება შეადგენს 4.00-4.10 მეტრს, დაფუძვნებულია კენჭნაროვან გრუნტზე (ფენა 3).

რადგანაც არსებული ძველი (დაკონსერვებული) საძირკვლები დაფუძვნებულია (ტექნიკური დავალებით გათვალისწინებულია მათი გამოყენება) კენჭნაროვან გრუნტზე (ფენა 3) დელუვიური ნალექების თიხოვან გრუნტზე ლაბორატორიული კვლევები არ ჩატარებულა.

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, უბანზე გავრცელებულ კენჭნაროვან გრუნტიდან აღებული იქნა დაურღვეველი სტრუქტურის სამი ნიმუში, რომელზედაც განისაზღვრა გრანუმეტრიული შემადგენლობა და შემავსებლის ფიზიკური თვისებები, რომლის შედეგებიც მოცემულია კრებსითი ცხრილის სახით.

ქვემოთ ცხრილ #2.2.5.1-ში მოცემულია კრებსით ცხრილიდან ამოკრეფილი კენჭნაროვანი გრუნტის გრანუმეტრიული შემადგენლობის ცვალებადობის დიაპაზონი და მათი საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობები.

ცხრილი 2.2.5.1

##	გრანუმეტრიული შემადგენლობა	მიღებულ სიდიდეთა დიაპაზონი	საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობა
	ფრაქციის ზომა		
1	კაჭარი >200	42-46	44
2	კენჭები 200-10	18-21	19
3	ხრეში 10-2	7-11	9
	შემავსებელი 2- <0.001	27-29	28

ლაბორატორიულად განსაზღვრული იქნა კენჭნაროვანი გრუნტის სიმკვრივე, ბუნებრივ ტენიანობა, ფორიანობა და ფორიანობის კოეფიციენტი და აგრეთვე შემავსებლით სახეობა და კონსისტენცია. კენჭნაროვანი გრუნტის სიმკვრივემ შეადგინა $\bar{\rho} - 2.18$ გ/სმ³ ბუნებრივი ტენიანობამ $\bar{W} - 5.9\%$, ფორიანობამ შეადგინა $n - 22.92$ ფორიანობის კოეფიციენტი $e - 0.294$. შემავსებელი თიხნარია $\bar{I}_p - 0.15$, პლასტიკურობის რიცხვის მიხედვით მყარი კონსისტენციის, რადგანაც $\bar{I}_L < 0$.

როგორც შესავალ ნაწილში იყო აღნიშნული, ძირითადი ქანებიდან ლაბორატორიულ გამოცდებისათვის აღებული იქნა ექვსი დაურღვეველი სტრუქტურის ნიმუში (მონოლითი).

ქანების ლაბორატორიული გამოცდა ჩატარდა სახსტანდარტის 5180-84 და 21153.2-84-ის მიხედვით, განსაზღვრულია სიმკვრივე, სიმტკიცის ზღვარი ერთდერძა კუმშვაზე, ჰაერმშრალი და წყალგაჯერებული მდგომარეობაში. გამოთვლილია დარბილების

კოეფიციენტი. სულ გამოცდა 6 ნიმუში. ქვემოთ ცხრილ 2.2.5.2-ში მოცემულია ლაბორატორიული გამოკვლევების შედეგები.

ცხრილი 2.2.5.1

№№	ჭაბ. # და ნიმუშის აღების სიღრმე	სიმკვრივე ρ გ/სმ ³	სიმტკიცის ზღვარი ერთლერძა კუმშვაზე R_1 მპა		დარბილების კოეფიციენტი K_{30f}
			მშრალი	წყალგაჯერებული	
1	ჭ1-8.0	2.35	34.8	20.9	0.60
2	ჭ1-12.0	2.35	38.6	23.1	0.60
3	ჭ2-9.0	2.36	42.4	25.4	0.60
4	ჭ2-11.0	2.36	45.3	27.1	0.60
5	ჭ-8.50	2.37	46.9	28.6	0.61
6	ჭ3-10.50	2.37	49.6	30.2	0.61
საშუალო		2.36	42.93	25.88	0.60

როგორც ცხრილიდან ჩანს ქვიშაქვების საშუალო სიმკვრივე $\rho=2.36$ გ/სმ³, სიმტკიცის ზღვარის საშუალო მნიშვნელობა ერთლერძა კუმშვაზე, წყალგაჯერებულ მდგომარეობაში $R_c - 25.88$ მპა ტოლია, რაც სახსტანდარტი 251000-82 ცხრილი 3-ის თანახმად განეკუთვნება საშუალო სიმტკიცის გრუნტების ნაირსახეობას. გრუნტი დარბილებადა, ყველა მნიშვნელობა -ზე ფენის გახსნის სიმძლავრე 3.0 მეტრია.

ფენის საანგარიშო მნიშვნელობების დასადგენად ჩატარებულია ლაბორატორიული კვლევების შედეგად მიღებული სიმტკიცის ზღვრის მაჩვენებლის (წყალგაჯერებულ პირობებში) სტატისტიკური დამუშავება, რომლის შედეგებიც მოცემულია ცხრილ 2.2.5.3-ში.

ცხრილი 2.2.5.3

#	R'_c (მპა)	R_c^σ (მპა)	$R_c^\sigma - R'_c$ (მპა)	$(R_c^\sigma - R'_c)^2$ (მპა)
1	20.9	25.88	4.98	24.80
2	23.1	25.88	2.78	7.73
3	25.4	25.88	0.48	0.23
4	27.1	25.88	-1.22	1.49
5	28.6	25.88	-2.72	7.40
6	30.2	25.88	-4.32	18.66
Σ	155.3	-	-	60.31

ნორმატიული მნიშვნელობა $R_c^\sigma = 155.3:6 = 25 \cdot 88$ მპა შემოწმება უხეშ შეცდომაზე

$$(R_c^\sigma - R'_c) \leq v n_{\alpha}$$

$$\text{როცა } n = 6 \quad v = 2.07$$

$$s_{\text{გად}} = \sqrt{\frac{1}{n} \sum_{i=1}^n (R_c^{\text{გ}} - R_c')^2} = \sqrt{\frac{60 \cdot 31}{6}} = 3.17$$

$$s_{\text{გად}} = 3.17 \times 2.01 = 6.56$$

რადგანაც მოცემულ ცხრილში დაცულია პირობა $(R_c^{\text{გ}} - R_c') \leq s_{\text{გად}}$, ამიტომ R_c' ყველა მნიშვნელობა ვარგისია გაანგარიშებისათვის.

საშუალო კვადრატული გადახრა

$$\sigma = \sqrt{\frac{1}{n-1} \sum_{i=1}^n (R_c^{\text{გ}} - R_c')^2} = 3.47$$

ვარიაციის კოეფიციენტი

$$v = \frac{3.47}{25.88} = 0.13 \text{ ანუ } 13\%$$

გამოვთვალოთ R_c მნიშვნელობა პირველი ზღვრული მდგომარეობისათვის (ამტანუნარიანობის მიხედვით)

$$\alpha = 0.95 \text{ თუ } n - 1 = 6 - 1 = 5 \text{ გვაქვს } t_{\alpha} = 2.01$$

სიზუსტის მნიშვნელობები

$$\rho = \frac{t_{\alpha} \times v}{\sqrt{n}} = \frac{2.01 \times 0.13}{\sqrt{6}} = 0.11$$

გრუნტის უსაფრთხოების კოეფიციენტი

$$K_{\text{ფ}} = \frac{1}{1 \pm \rho} = 1.15$$

სიმკვრივის მნიშვნელობები ტოლი იქნება

$$R_c' = \frac{R_c^{\text{გ}}}{K_{\text{ფ}}} = \frac{25.88}{1.15} = 22.50 \text{ მპა ანუ } 225 \text{ კგ/სმ}^2$$

ვინაიდან ქვიშაქვების და არგილიტების რაოდენობა თანაბარია, ხოლო წყალში გამოცდისას არგილიტები იშლებიან, ფენის საშუალო საანგარიშო მნიშვნელობების მისაღებად გამოთვლილი $R_c' = 22.50$ უნდა შემცირდეს 50%-ით ანუ 11.25-ით, რაც 11.25 მპას-ს, 112.5 კგ/სმ² ტოლია.

ჰიდროგეოლოგიური პირობების მიხედვით საკვლევი ტერიტორია, გამოკვლეული 12.0 მეტრის სიღრმემდე ხასიათდება გრუნტის წყლის არ არსებობით.

დასკვნები და რეკომენდაციები

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება აღინიშნოს შემდეგი:

1. საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით, გამოკვლეული უბანი კარგ პირობებშია, ვინაიდან, როგორც სამშენებლო უბანზე, ისე მის მიმდებარე ტერიტორიაზე

უარყოფითი ფიზიკურ გეოლოგიური პროცესები (მეწყერი, კარსტი, ჩაქცევები და სხვა) არ შეიმჩნევა.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ს.ნ და № 1.02.07-87 მე-10 სავალდებულო დანართის თანახმად, სამშენებლო უბანი მიეკუთვნება II კატეგორიას – საშუალო სირთულის.

2. სამშენებლო თვისებების მიხედვით, გამოკვლეული სამშენებლო უბნის გეოლოგიურ ჭრილში შეიძლება გამოვყოს ორი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (ს.გ.ე).

I ს.გ.ე - კენჭნაროვანი გრუნტი (ფენა 3);

II სგე – ძირითადი ქანები (ფენა 4).

იმის გამო, რომ არსებული ძველი (დაკონსერვებული) საძირკვლები დაფუძვნებულია კენჭნაროვანი გრუნტზე (ფენა 3) ფენა 2-ის დელუვიური თიხნარები მხედველობაში არ მიიღება.

3. დასაპროექტებელი შენობა-ნაგებობების ტექნიკური მახასიათებლებიდან და გამოკვლეული სამშენებლო უბნის გეოლოგიური აგებულებიდან გამომდინარე ფუძე გრუნტებად მიღებული იქნეს I საინჟინრო გეოლოგიური ელემენტის კენჭნაროვან გრუნტი (ფენა 3).

4. როგორც აღინიშნა შესავალ ნაწილში, მოხდა სამშენებლო უბანზე გავრცელებული საძირკვლების გაშიშვლება როგორც დადგინდა, საძირკვლები წერტილოვანი (ცალკემდგომი) ტიპისაა, მასალა – რკინაბეტონია, დაფუძვნებულია კენჭნაროვან გრუნტზე (ფენა 3). საძირკვლების კონფიგურაცია, ჩაღრმავება და ზომები მოცემულია თანდართულ ნახაზზე.

საძირკვლები კარგ მდგომარეობაშია, შეიძლება გამოყენებული იქნეს დასაპროექტებელი შენობა ნაგებობების ფუძედ.

5. ქვემოთ მოცემულია ორივე საინჟინრო გეოლოგიური ელემენტის გრუნტების (ფენა 2 და 3) აუცილებელი ფიზიკურ მექანიკური მახასიათებლები, მიღებული ლაბორატორიული გამოკვლევების, პ.ნ 02-01-08, საარქივო მასალების და აგრეთვე საცნობარო ლიტერატურის (დამპროექტებლის საანგარიშო თეორიული ცნობარი) საფუძველზე.

I ს.გ.ე - კენჭნაროვანი გრუნტი (ფენა 3).

სიმკვრივე ρ - 2.18 გ/სმ³;

შინაგანი ხახუნის კუთხე φ -35°;

ხვედრითი შეჭიდულობა C – 2(0.02) კპა (კგძ/სმ²);

დეფორმაციის მოდული E – 50(500) კპა (კგძ/სმ²);

პირობითი საანგარიშო წინაღობა R_0 – 450(4.5) კპა (კგძ/სმ²);

საგების კოეფიციენტი K -8 კგ/სმ³

პუასონის კოეფიციენტი μ -0.27

II სგე – ძირითადი ქანები (ფენა 4)

პირობითი წინაღობა ერთღერძა კუმშვაზე

წყალგაჯერებულ მდგომარეობაში $R_c = 11.25(112.5)$ კპა (კგძ/სმ²);

საგების კოეფიციენტი $K=100$ კგ/სმ³.

პუასონის კოეფიციენტი $\mu=0.25$

6. ჰიდროგეოლოგიური თვალსაზრისით სამშენებლო უბანი გამოკვლეულ 12.0 მეტრის სიღრმემდე ხასიათდება გრუნტის წყლის არ არსებობით (სექტემბერი, 2017 წელი).

7. პ.ნ 01.01-09-ის (სეისმომედეგი მშენებლობა) თანახმად ქ. თბილისი მდებარეობს 8 ბალიან სეისმურობის ზონაში. ამავე ნორმატიული დოკუმენტის, ცხრილი 1-ის თანახმად, სამშენებლო მოედანი სეისმური თვისებების მიხედვით მიეკუთვნება II კატეგორიას.

უბნის სეისმურობად მიღებული იქნეს 8 ბალი.

9. ქვაბულის ფერდობების მაქსიმალური დასაშვები დახრა მიღებული იქნეს ს.ნ და წ 3.02.01-87 პ.პ.3.11; 3.12; 3.15 და ს.ნ და წ III -4-80 მე-9 თავის მიხედვით.

10. დამუშავების სიძნელის მიხედვით, უბანზე გავრცელებული გრუნტები, ს.ნ და წ IV-2-82 I-I ცხრილის თანახმად მიეკუთვნებიან:

ა) ტექნოგენური გრუნტი (ფენა 1) – ყველა სახით დამუშავებისას (ერთციცხვიანი, ექსკავატორით, ბულდოზერით და ხელით) - II ჯგუფს საშუალო სიმკვრივით $\rho=1800$ კგ/მ³ (რ#ა

ბ) თიხნარი (ფენა 2) – ბულდოზერით – II ჯგუფს, ერთციცხვიანი ექსკავატორით და ხელით – III ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1950 კგ/მ³.

გ) კენჭნაროვანი გრუნტი (ფენა 3) ბულდოზერით - IV ჯგუფს, ერთციცხვიანი ექსკავატორით და ხელით – V ჯგუფს, საშუალო 2180 კგ/მ³ (რ#ნდ).

2.2.6. სეისმურობა

საკვლევი ტერიტორია მდებარეობს ასპინძა-თბილისის მორფოსტრუქტურული ერთეულის ზონაში, რომელიც თავის მხრივს გართულებულია უერთიერთგადამკვეთი ტექტონიკური რღვევებით. ზონა განლაგებულია მაღალი სეისმური რისკის არეალში. საქართველოს მაკრო-სეისმური დარაიონების სქემის მიხედვით (საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების კორექტირებული სქემის მიხედვით საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება 8 ბალიან სეისმური აქტივობის ზონას (საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება #1-1/2284, 2009 წლის 7 ოქტომბერი, ქ. თბილისი. სამშენებლო ნორმების და წესების - “სეისმომედეგი მშენებლობა” (პნ 01.01-09) - დამტკიცების შესახებ). საკვლევი ტერიტორიაზე განლაგებულ დასახლებულ პუნქტებს – თბილისი, სოღანლული, რუსთავი ემუქრებათ 8 ბალიანი ინტენსივობის მიწისძვრები. მაღალი მაგნიტუდის მიწისძვრები არსებული სტატისტიკური მონაცემებით, რომლებსაც

შეუძლიათ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენონ თანამედროვე საინჟინრო ნაგებობებს (მათ შორის საავტომობილო გზას) და გავლენა იქონიონ რელიეფის მორფოდინამიკაზე, არაერთხელ ჰქონდა, როგორც ისტორიულ, ასევე წარსულში. ქვემოთ მოგვყავს არსებული სტატისტიკური მონაცემები.

ქ. თბილისში 6-7 ბალიანი მიწისძვრა მომხდარა 1283, 1318, 1803, 1827, 1859, 1909, 1920 და 2002 წლებში. XX საუკუნის განმავლობაში მომხდარი მიწისძვრების მიხედვით მიწისქვეშა ბიძგების ხანგრძლივობა 2.1-დან 3.6 წამამდე მერყეობს. სეისმური ტალღების გავრცელების ხასიათი და მიმართულება მეტწილად დამოკიდებულია ტექტონიკური რღვევითი სტრუქტურების განლაგებაზე. საკვლევ ტერიტორიაზე სეისმური ტალღების გავრცელების გაბატონებული მიმართულება (სუბგანედური) ჩრდილო-დასავლეთ-სამხრეთ-აღმოსავლეთურია.

ქვემოთ მოგვყავს სეისმური ტალღების მაქსიმალური ჰორიზონტალური აჩქარების მახასიათებლები (სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი) საკვლევ ტერიტორიის ფარგლებში არსებული დასახლებული პუნქტებისათვის:

1. ქ. თბილისი 0.17 მ/წმ²;
2. ქ. რუსთავი 0.12 მ/წმ²;
3. სოფ. სოდანლული 0.174 მ/წმ².

2.3. ტერიტორიის კლიმატური მახასიათებლები

საქართველო გამოირჩევა თავის მეტეოკლიმატურ-მეტეოროლოგიური პირობების მრავალფეროვნებით. ამ მრავალფეროვნების დასახასიათებლად და სათანადო სამეცნიერო თუ პრაქტიკული საწარმოო-საზოგადოებრივი საქმიანობის უზრუნველსაყოფად, ქვეყანაში ფუნქციონირებს რეგულარული ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვებების სახელმწიფო ქსელი. მრავალწლიანი (ზოგიერთი სადგურისათვის - საუკუნოვანი) დაკვირვებების მონაცემების დამუშავების ბაზაზე დადგენილია საქართველოს, როგორც მთლიანი ქვეყნის, ასევე მისი რეგიონების, ცალკეული დასახლებული რაიონების და მსხვილი ქალაქების კლიმატური მახასიათებლები. აღსანიშნავია, რომ მის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებს გააჩნიათ კლიმატის ფორმირების გამოკვეთილად განსხვავებული ფიზიკურ-გეოგრაფიული და ატმოსფერული ცირკულაციის თავისებურებები. ამ რეგიონებში მიმდინარე ლოკალურ ანთროპოგენურ პროცესებს შეუძლიათ გავლენა იქონიონ მხოლოდ შეზღუდული მასშტაბით. აქედან გამომდინარე, საწარმოო ობიექტის საქმიანობასთან დაკავშირებით ზოგადად განიხილება - აღმოსავლეთ საქართველოს, ქვემო ქართლის ვაკის, სამგორის ველის, აგრეთვე იორის ზეგანის ნაწილის - სამგორის რაიონის დახასიათება.

სამგორის ველი მდებარეობს იორის ზეგანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, მისი სიმაღლე ზღვის დონიდან 300-700 მეტრს შეადგენს.

განხილულ ტერიტორიაზე განლაგებულია ისეთი მსხვილი ინდუსტიული ცენტრები, როგორცაა ქალაქები თბილისი, რუსთავი და გარდაბანი. ეს ინდუსტიული ცენტრები ერთმანეთის ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მოსაზღვრე

ქალაქებს წარმოადგენენ და შესაბამისი მიმართულებებით ატმოსფერული მასების გადაადგილების შემთხვევებში, რაც გაბატონებულ მოვლენას განეკუთვნება, მათი ურთიერთგავლენა მეტად მნიშვნელოვანია.

კლიმატი ამ მიკრორეგიონში არის ზომიერად მშრალი, ზომიერად ცივი ზამთრით და ცხელი ზაფხულით, მთლიანად კი რაიონის კლიმატი მშრალი სუბტროპიკული ტიპისაა. რაიონის მიკროკლიმატის ტემპერატურული რეჟიმი საკმაოდ კონტრასტულია. აქ თოვლის საფარი არამდგრადია. დამახასიათებელია ჰაერის დაბინძურების საშუალო მეტეოროლოგიური პოტენციალი.

საწარმო განთავსებულია თბილისში და მისი განთავსების მიკრორეგიონის კლიმატური პირობების მოკლე დახასიათება იგივეა, რაც მთლიანად რაიონისათვის. ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში და დიაგრამებზე წარმოდგენილია ატმოსფერულ ჰაერში ნივთიერებათა გაბნევის განმსაზღვრელი კლიმატის მახასიათებელი ტემპერატურული და ქართა მიმართულებებისა და მათი განმეორადობების აღმწერი პარამეტრების მნიშვნელობები ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის გასაანგარიშებლად, ასევე საჭირო, სხვა პარამეტრთა მნიშვნელობებთან ერთად.

ტემპერატურული რეჟიმი

თბილისსა და მის მიდამოებში ყველაზე ცივი თვეა იანვარი, რომლის საშუალო ტემპერატურა განაშენიანებულ ტერიტორიაზე 0.3°C-დან 0.9°C -მდეა, შემოგარენში კი, ტერიტორიის სიმაღლის გამო ამ თვის ტემპერატურა მნიშვნელოვნად ეცემა და უარყოფითი ხდება. ზაფხულში ქალაქის უმეტეს ტერიტორიაზე ტემპერატურა 24°C -ს აღემატება. თბილისის განაშენიანებულ ტერიტორიაზე ყველაზე ცხელი თვე ივლისი, შემოგარენში უფრო ცხელი თვეა აგვისტო. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა თბილისსა და მის მიდამოებში 12.3° C -მდეა. თბილისის განაშენიანებულ ტერიტორიაზე ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა მაღალია (დიღომი - 12.1°C, თბილისი ობსერვატორია - 12.3°C), ხოლო შემოგარენში, რელიეფის მთაგორიანობის გამო თანდათან კლებულობს და კოჯორში ის 7.4° C -ის ფარგლებშია.

ქვემოთ ცხრილებში მოცემულია კლიმატური მახასიათებლების 2014 წლის 15 იანვარს საქართველოს მთავრობის #71 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის „საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების შესახებ“-ის თანახმად.

ცხრილი 2.3.1

ატმოსფერული ჰაერის მრავალწლიურ ტემპერატურათა მნიშვნელობები უზნის ტერიტორიაზე განლაგებული თბილისის აეროპორტის ჰიდრომეტეოროლოგიურ სადგურზე (°C)

სადგური	გარე ჰაერის ტემპერატურა, 0 C																			პერიოდი <80C			
	თვის საშუალო													წლის საშუალო	აბსოლიტური მინიმუმი	აბსოლიტური მაქსიმუმი	ყველაზე ცხელი თვის საშუალო მაქსიმუმი	ყველაზე ცივი ხუთ-დღიური საშუალო	ყველაზე ცივი დღის საშუალო	ყველაზე ცივი პერიოდის საშუ.	საშუალო თვიური ტემპერატურით	საშუალო ტემპერატურა 13 საათზე	
	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	ხანგრძლივობა დღეების										საშუალო ტემპერატურა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24
თბილისის აეროპორტი	0.4	1.9	5.7	11.2	16.6	20.5	24.0	24.1	19.4	13.7	7.3	2.5	12.3	-23	40	30.5	-9	-12	0.3	139	3	3.4	28.7

ცხრილი 2.3.2

ატმოსფერული ჰაერის მრავალწლიურ ფარდობითი ტენიანობის მნიშვნელობები მნიშვნელობები უზნის ტერიტორიაზე განლაგებული თბილისის აეროპორტის ჰიდრომეტეოროლოგიურ სადგურზე (°C)

სადგური	გარე ჰაერის ფარდობითი ტენიანობა													საშ. ფარდ. ტენიანობა 13 საათზე		ფარდ. ტენიანობის საშ. დღელამური ამპლიტუდა	
	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	წლის საშუალო	ყველაზე ცივი თვისთვის	ყველაზე ცხელი თვისთვის	ყველაზე ცივი თვისთვის	ყველაზე ცხელი თვისთვის
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	21	22	23
თბილისის აეროპორტი	73	70	68	65	65	61	58	56	63	70	75	75	67	61	44	19	26

ცხრილი 2.3.3.

ნალექების რაოდენობა, მმ

ნალექების რაოდენობა წელიწადში, მმ	ნალექების დღე-ღამური მაქსიმუმი, მმ
540	145

ცხრილი 2.3.4.

ქარის მახასიათებლები

ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი 1,5,10,15,20. წელიწადში ერთხელ. მ/წმ				
1	5	10	15	20
33	41	45	47	48

ცხრილი 2.3.5.


ქარის საშუალო უდიდესი და უმცირესი სიჩქარე მ/წმ	
იანვარი	ივლისი
10.0/2.2	10.6/3.5

ქარის სხვადასხვა მიმართულებებისა და შტილის განმეორადობა მოცემულია ცხრილ 2.3.6-ში და ნახაზ 1-ზე.

ცხრილი 2.3.6.

ქარის მიმართულებებისა და შტილის განმეორადობა (%)

თვე	ჩ	ჩ-აღმ.	აღმ.	ს-აღმ.	ს	ს-დ	დ.	ჩდ	შტილი
I	1	3	3	5	2	1	5	80	45
II	1	4	5	7	4	2	3	74	37
III	1	3	5	16	6	2	3	64	36
IV	1	4	6	19	7	2	2	59	34
V	1	4	8	14	7	2	3	61	32
VI	1	5	7	13	6	2	3	63	26
VII	1	4	8	13	7	2	3	62	23
VIII	1	5	9	13	10	2	3	57	29
IX	1	5	8	15	7	2	2	60	36
X	1	5	6	10	7	1	3	67	42
XI	1	4	5	10	6	2	5	67	52
XII	2	3	2	5	3	1	5	79	49
წლიური	1	4	6	12	6	2	3	66	37



ნახ. 1. ქარის მიმართულებების განმეორადობა (პროცენტებში).

ქარის სიჩქარის საშუალო თვიური და წლიური მნიშვნელობების უბნის ტერიტორიაზე განლაგებული ჰიდრომეტეოროლოგიური ქსელის სადგურებზე (მ/წმ)

დაკვირვების სადგური	თვე												წელი
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
თბილისის აეროპორტი	5.4	6.8	6.4	6.4	5.9	6.3	7.2	5.8	5.6	5.1	4.1	4.4	5.8

ნალექები

ქალაქ თბილისში საშუალო წლიური ნალექების ჯამი 555 მმ-დან 608 მმ-დე მერყეობს. ნალექების მთავარი მაქსიმუმი მაისშია (78მმ-დან 149 მმ.დე). ყველაზე მშრალი თვე იანვარია, როცა ნალექების რაოდენობა 19-39 მმ-ის ფარგლებში მერყეობს. რაც შეეხება ნალექების სეზონურ განაწილებას, ამ მხრივ დამახასიათებელია შედარებით უხვნალექიანობა წლის თბილ პერიოდში (აპრილი-ოქტომბერი, 279მმ) და მცირენალექიანობა წლის ცივ პერიოდში (ნოემბერი-მარტი, 103მმ).

ატმოსფერული ნალექების ჯამის საშუალო მნიშვნელობები უბნის ტერიტორიაზე განლაგებული ჰიდრომეტეოროლოგიური ქსელის სადგურებზე (მმ)

დაკვირვების სადგური	თვე												წელი
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
თბილისის აეროპორტი	14	20	27	46	76	64	43	33	37	37	31	20	448

2.4. ზედაპირული წყლები

უშუალოდ საწარმოო ობიექტის უბნის ყველაზე უახლოესი მდინარეა მტკვარი.

მდინარე მტკვარი, რომელიც სათავეს თურქეთის რესპუბლიკაში იღებს, არის არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი ამიერკავკასიის უდიდესი მდინარე. მისი საერთო სიგრძეა 1364 კმ. მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზე - 390 კმ.

მდინარე მტკვრის აუზი მრავალფეროვანი ლანდშაფტებით ხასიათდება, რაც არსებით გავლენას ახდენს მის რეჟიმზე. მდინარისათვის დამახასიათებელია გაზაფხულის წყალდიდობა, ხოლო ზაფხულსა და ზამთარში წყალმცირობა. გაზაფხულის წყალდიდობა მარტის პირველ ნახევარში იწყება და მაქსიმუმს აღწევს აპრილის ბოლოსა და მაისის დასაწყისში. ივლის-აგვისტოში მტკვარზე წყალმცირობაა, ისევე როგორც მთელი ზამთრის განმავლობაში.

როგორც უკვე აღინიშნა, საწარმოო განლაგების ტერიტორიისათვის მდინარეთა ძირითადი არტერიაა მტკვარი, იგი შერეული საზრდოობის მდინარეა, იკვებება წვიმის, მიწისქვეშა წყლებით და თოვლით. ივლის-აგვისტოში წყალმცირობაა, მდგრადი წყალმცირობა კი ზამთარშია.

მტკვრის ჩამონადენის განაწილება სეზონის მიხედვით ასეთ სურათს იძლევა: გაზაფხულზე ჩამოედინება წლიური ჩამონადენის 48.5 %, ზაფხულში 26.9 %,

შემოდგომაზე 13.7 %, ზამთარში 10.9 %. მტკვარი მძლავრი და წყალუხვი მდინარეა, იგი წყლის ენერჯის დიდ მარაგს ფლობს. თბილისთან საშუალო წლიური ხარჯი 200 მ³/წმ-ს აღემატება.

მდინარეთა წყალდიდობის დროს, განხილული მდინარეთა არტერია დიდი რაოდენობის წყლებს ატარებს, ცალკეულ წლებში კი კატასტროფული წყალდიდობა იცის.

მრავალწლიანი დაკვირვებების მონაცემებით საკვლევ რეგიონში მდინარეთა გაყინვა არ შეინიშნება.

საქართველოს კანონით “წყლის დაცვის შესახებ”, შემოღებულია წყლის დაცვისა და გამოყენების ნორმატივები, რომელთა დაწესების მიზანია – დადგინდეს წყლის ობიექტებზე ზემოქმედების ისეთი ნორმები, რომლებიც უზრუნველყოფენ წყლის გარემოს შენარჩუნებას და ეკოლოგიურ წონასწორობას. ამ მიზნით დაწესებულია:

- წყლის მდგომარეობის ხარისხობრივი ნორმები;
- წყლის ობიექტებში მავნე ნივთიერებათა(მათ შორის მიკროორგანიზმების) ემისიის (ჩაშვების) ზღვრულად დასაშვები ნორმები;
- წყლის ობიექტების დატვირთვის ნორმები.

2.5. ძირითადი ნიადაგები და ლანდშაფტები

სამგორის ველი აგებულია ალუვიური და პროალუვიურ-დეალუვიური გენეზისის სხვადასხვა შემადგებლობის და სიმძლავრეების ნალექებისაგან. აქ ზედაპირთან ახლოს ფართოდაა გავრცელებული თიხა-თიხნაროვანი შემადგენლობის (მათ შორის ლიოსისებური) ლითოლოგიური სახესხაობები, რომლებზედაც განვითარებულია მდელოს ყავისფერი, ადგილ-ადგილ დაჭაობებული, კარბონატული ნიადაგები. ეს უკანასკნელები საწყის ეტაპზე ყალიბდებოდა მთლიანი ხემცენარეული საფარის ქვეშ, რომლებიც ტყეების მოსპობის შემდეგ სტეპური ნიადაგ წარმოქმნის სტადიაში არიან.

თბილისში, ფონიჭალაში ლანდშაფტი ძირითადად ერთგვაროვანია, ხოლო რელიეფი წარმოდგენილია ვაკე და ტალღოვანი ფორმებით. ლანდშაფტის ფორმები ანთროპოგენური ფაქტორებით სახეშეცვლილია და ძირითადად წარმოდგენილია კულტურულული სავარგულებით, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებით.

ნიადაგის დარაიონება და კლასიფიკაცია

ნიადაგის საფარის დარაიონება და კლასიფიკაცია ეფუძნება ტრიტორიის გეოლოგიურ აგებულებას, რელიეფს, კლიმატს, ჰიდროლოგიურ რეჟიმს, მცენარეულ საფარს და ანთროპოგენური ფაქტორების ერთობლიობას. საქართველოს ნიადაგური საფარის დარაიონების საფუძველს წარმოადგენს გეომორფოლოგიური ოლქებისა და რაიონების სქემა. საქართველოს ნიადაგთ-გეოგრაფიული დარაიონების სქემის (მ.საბაშვილი 1964) მიხედვით, საპროექტო გზის დერეფნის გასწვრივ და მიმდებარედ გავრცელებული ნიადაგები მოქცეულია აღმოსავლეთ საქართველოს ნიადაგური ოლქის,

ქვემო ქართლის ქვეოლქის და თბილისი-რუსთავის ტაფობის ქვეზონას. ნიადაგური საფარის ტაქსონომიურ ერთეულებად გამოყენებულია FAO -ს კლასიფიკაცია.

საწარმოო ტერიტორიის მიმდებარედ ძირითადად გავრცელებულია შემდეგი ტიპის ნიადაგი:

ალუვიური კარბონატული - ALLUVIAL CALCAREOUS;

რუხი-ყავისფერი - GREY CINNAMONIC;

ნეშომპალა - სულფატური - RAW HUMUS SULPATE;

საწარმოო ტერიტორიის გასწვრივ და მიმდებარედ გავრცელებული ნიადაგების მოკლე დხასიათება:

ალუვიური კარბონატული - ALLUVIAL CALCAREOUS.

საწარმოო ტერიტორიის მიმდებარედ ალუვიური კარბონატული (ALLUVIAL CALCAREOUS) ნიადაგი. ნიადაგი სუსტად დიფერენცირებული პროფილით ხასიათდება, მცირე სისქისაა, საშუალოდ ხირხატიანობით და თიხნარი მექანიკური შედგენილობით გამოირჩევა. ნიადაგის ზედა ნაყოფიერი (ჰუმუსოვანი) ფენა მერყეობს 5-10 სანტიმეტრს შორის.

რუხი-ყავისფერი - GREY CINNAMONIC.

საწარმოო ტერიტორიის მიმდებარედ რუხი-ყავისფერი (GREY CINNAMONIC) ნიადაგი ძირითადად გავრცელებულია მდ.მტკვრის ზედა ტერასაზე. ნიადაგი სასუალო სისქისაა და საშუალო თიხნარი მექანიკური შედგენილობით გამოირჩევა. ნიადაგის პროფილი ხასიათდება კარბონატულობით და ზოგ ადგილებში თაბაშირის ძარღვების ჩანაღვენთებიც ფიქსირდება, რის გამოც, ნეშომპალა - სულფატური (RAW HUMUS SULPATE) ტიპის ნიადაგის სახესხვაობას წარმოადგენს. ნიადაგის ზედა ჰუმუსიანი ფენის სისქე საშუალოდ არ აღემატება 10 სანტიმეტრს. აღნიშნულ ტერიტორიაზე მიწის სავარგული წარმოდგენილია კერძო საკუთრებაში არსებული კულტურული სავარგულებით (სახნავი, ბაღები და ბახჩეულები).

2.6. ფაუნა და ფლორა

როგორც უკვე იყო აღნიშნული, საწარმოო ობიექტი განლაგებულია ქ. თბილისში სამგორის რაიონში. ამ ტერიტორიის მცენარეული საფარი წარმოდგენილია თბილისისათვის დამახასიათებელი სპეციფიკით. - მდინარე მტკვრის ნაპირთა გასწვრივ უმთავრესად საშუალო და ხნოვანი მცენარეულობით, ხოლო ქალაქის გარეუბნებში გავრცელებულია ბაღა-ბაღები და სათესი კულტურები.

საპროექტო ტერიტორია მდებარებს ქვემო ქართლის ბარის გეობოტანიკურ რაიონში. რაიონის მცენარეული საფარი ძლიერ შეცვლილია ადამიანის სამეურნეო საქმიანობის გავლენით. ბუნებრივი მცენარეულობით დაფარული ტერიტორია რაიონში საერთოდ მცირეა (ერთერთი ყველაზე ნაკლები აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებს შორის). ეს განსაკუთრებით ვაკეებზე ითქმის, სადაც ბუნებრივი მცენარეულობა დიდი ხანია კულტურულმა მცენარეულობამ შეცვალა.

რაიონის ტერიტორიაზე განვითარებული მცენარეული საფარი, მიუხედავად ძლიერ შეზღუდული ფართობისა, თავისი ტიპოლოგიური შედგენილობის, ცალკეული მცენარეული ტიპების და ფორმაციების გენეზისისა და განვითარების ისტორიის თვალსაზრისით ძალზე მრავალფეროვან და რთულ სურათს იძლევა.

ფლორისა და მცენარეულობის დეტალური დახასიათება საწარმოს ზემოქმედების ზონაში

დაგეგმილი საქმიანობის ოპერირებით გამოწვეული მოსალოდნელი უარყოფითი და ნარჩენი ზემოქმედება როგორც საწარმოო ტერიტორიაზე ისე მიმდებარე ტერიტორიების ფლორასა და მცენარეულობაზე. გამოვლინდა პროექტის ზემოქმედების ზონაში წარმოდგენილი სხვადასხვა კონსერვაციული ღირებულების მქონე მცენარეთა თანასაზოგადოებები და სახეობები (წითელი ნუსხის, ენდემური, იშვიათი), აგრეთვე ეკონომიკური ღირებულების მქონე მცენარეები.

ჰაბიტატების სენსიტიურობა ამ პროექტისთვის შეფასებული იყო სენსიტიურობის 4 რანგის სკალის გამოყენებით: დაბალი კონსერვაციული ღირებულება ანუ დაბალი სენსიტიურობა (ძლიერად გარდაიქმნება ქალაქისა და სოფლის ლანდშაფტები არაბუნებრივი მცენარეულობითა და გზისპირა გამწვანების შეზღუდული არით), საშუალო სენსიტიურობა (დეგრადირებული ბუნებრივი გარემო და ხელოვნური რეკრეაციული პარკის ზონები), სენსიტიურობის მაღალი სიდიდე (ბუნებრივი ჰემატიტები გარშემორტყმული ბიომრავალფეროვნებით, წარმოდგენილი წითელი მონაცემთა სახეობებით და ა.შ.) და უკიდურესად მაღალი სიდიდე (დაცული ტერიტორიები და სხვა ბუნებრივი ჰაბიტატები მნიშვნელოვანისაფრთხის წინაშე მყოფი ცხოველების და იშვიათი სახეობების და გადაშენების პირას მყოფი მცენარეების პოპულაციის შენარჩუნებისათვის). არამგრძობიარე ჰაბიტატები არიან წამოდგენილნი პროექტის ფარგლებში.

ქვემო ფონიჭალის მიმდებარე ტერიტორიაზე ჭალის ტყის დეგრადირებულ ფრაგმენტში არის ხვალო- *Populus hybrida*, *Elaeagnus angustifolia*, *Tamarix ramosissima*, *Smilax excelsa*, მაყვალი- *Rubus* sp., *Typha latifolia*. არის საჭუალო სენსიტიურობის (საშუალო საკონსერვაციო ღირებულების მქონე) ჰაბიტატი.

მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირი. მდინარისპირულ ტერასაზე თითქმის არ გვხვდება მცენარეულობა. მის ზემოთ შვეულ, ეროზირებულ ფერდობზეც ასევეა. ფერდობის ზემოთ სხვადასხვა ტიპის ნაგებობებია.

თხელი ტყის ზონა (ტყის ფრაგმენტები ემიჯნება პარკს) სოფ. ფონიჭალის მიდამოებში მდებარეობს გზის პირიდან 300 მ მანძილზე აღმოსავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით. ხვალო, ტირიფი, რუსული ზეთისხილის, თამარისკი და მწვანე ასკილისნაირი მცენარეულობა იმყოფება წვრილ ტყეში. თუმცა, გზის პირი უხვევს მარჯვნივ არსებული გზისკენ სენსიტიურ ზონაში შესვლამდე და აქედან გამომდინარე, პროექტი არ მოქმედებს სატყეო ზონაში.

მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, თბილისი-რუსთავის გზის შეერთებისაკენ, სტეპები პირდაპირ ესაზღვრებიან მუხის-თელის ფორმირებებს. ეს არის გარდამავალი ზოლი ეკლიან სტეპებსა და ტიპური ჭალის ტყეებს შორის. თამარისკი ფიჭვთან, რუსული ზეთისხილითან, კუნელთან, ქრისტეს ეკალთან, თელასთან, გარგართან, თუთასთან და შავკლიავთან შერევით არის დომინანტური მარილიან ნიადაგებზე. გზის გასწვრივ კარგად შენახული სამეურნეო ბაღები, ხეხილის ბაღები იმყოფებიან. ადგილობრივები იყენებენ ქვეტყის ბალახის საფარს პირუტყვის სამოვრად. მარშრუტის დარჩენილ ნაწილში მცენარეული საფარი არის ველის და ველის-ბუჩქნარის. 8 +200 კმ - 9 +800 კმ: მწკრივი გადის არსებული გზის გასწვრივ მხოლოდ ხელოვნური გზისპირა გამწვანებული პლანტაციების კომპაქტურად დასახლებულ არეში.

დაგეგმილი საქმიანობით ადგილობრივ ფაუნასა და ფლორაზე რაიმე მნიშვნელოვანი უარყოფითი ანთროპოგენური ზეგავლენა მოსალოდნელი არ არის.

2.7. დაცული ტერიტორიები

საწარმოდან უახლოესი დაცული ტერიტორია წარმოადგენს კრწანისის ტყე-პარკი.

საწარმოს ფუნქციონირება ზეგავლენას არ იქონიებს არც ერთ დაცულ ტერიტორიაზე. გარდაბნის აღკვეთილი მდებარეობს მდ. მტკვრის ქვედა დინებაში. საწარმოს ფუნქციონირების არეალში ბიომრავალფეროვნების დაცვის კუთხით მნიშვნელოვნად შეიძლება მოიაზრებოდეს ერთადერთი უბანი, კერძოდ კი კრწანისის ტყე-პარკი. ამ პარკში ტყე აღდგენილი იქნა 1940-50-იან წლებში. ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ადგილობრივ მოსახლეობას მასზე წვდომა არ ჰქონდა, ხოლო საბჭოთა ხანის დასრულების შემდეგ პარკი დასასვენებლად გამოიყენებოდა. დღეისათვის პარკში თითქმის აღდგა ჭალისპირა ტყის ბუნებრივი სტრუქტურა, სადაც გვხვდება ცხოველთა სტაბილური, თუმცა არც თუ მრავალრიცხოვანი პოპულაცია. კრწანისის პარკი არ წარმოადგენს დაცულ ტერიტორიას; იგი წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას. საჯარო რეესტრში ეს ნაკვეთი დარეგისტრირებულია როგორც "არასასოფლო-სამეურნეო მიწა", ინდუსტრიული დანიშნულების". მისი მესაკუთრე ამჟამად არის ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

პარკში არსებული მცენარეულობის ზოგადი აღწერა: კრწანისის ტყე-პარკის ტერიტორიაზე ხელოვნური ნარგავები ერევა ბუნებრივ ჭალისპირა მცენარეულობას; ეს უკანასკნელი მდ. მტკვრის სანაპიროსთან დომინირებს.

კრწანისის ტყე-პარკში შემონახულია დიდი ხეები. პარკში ხე-მცენარეებიდან იზრდება: ვერხვი, თუთა, ნეკერჩხალი, მუხა, მცირე რაოდენობით იფანი, თელადუმა, კაკალი, ფიჭვი, კედარი; ასევე, გვხვდება წაბლის, ცხენისწაბლას, ცაცხვის, პანტის ერთეული ეგზემპლარები. ქვეტყე შექმნილია მაყვლის, კნელის და ასკილის ბუჩქნარით, ასევე ბროწეულის ხეებით. ბალახის საფარი ნაირბალახეულობითაა წარმოდგენილი. დღეის მდგომარეობით, პარკის სიღრმეში, მდ. მტკვრის ნაპირებთან და ტბორების მახლობლად ტყეებმა ფაქტიურად დაიბრუნა ბუნებრივი ჭალისპირა ტყის სტრუქტურა. ჭალისპირა ლანდშაფტი მდინარის ნაპირს ვიწრო ზოლად მიუყვება. მდ.

მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მხოლოდ კრწანისის ტყე-პარკის ტერიტორიაზე შემორჩენილი ხვალის (*Розулуუს ჰებრიდა*),

ოფისა და ტირიფის ჭალის ტყე, რომლის ქვეტყე წარმოდგენილია მაყვლით, ხვართქლით (*Smilax aspera*) და სუროთი.

პარკის ტერიტორიაზე პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი მცენარეულობა: კრწანისის ტყე-პარკის საერთო ფართობი დაახლ. ამ ტერიტორიის ნაწილი დაკავებულია მიკრო-ავტობუსების სადგურით.

საზოგადოებრივი სარგებლობის (მუნიციპალური) ტერიტორიის 17 ჰა-ზე, რომელიც ზემოქმედების ქვეშ ყვება, ხეების ინვენტარიზაცია 2015 წლის ოქტომბერში განხორციელდა. ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი ხე-მცენარეების დეტალური აღწერა, მათი ზომის, დიამეტრისა და მერქნის მოცულობის ჩათვლით. ინვენტარიზაციის შედეგების მიხედვით, ამ ტერიტორიაზე იზრდება: 20 ძირი იფანი (0,995 მ³), 40 ძირი თუთა (14,308 მ³); 41 ძირი ნეკერჩხალი (22,443 მ³); 13 აკაცია (1.457 მ³); 5 ტყემალი (0.435 მ³); 83 ტირიფი (27.662 მ³); 351 შავი ფიჭვი (264.932 მ³); 47 კვიპაროსი (12.637 მ³); 17 კაკალი (5.314 მ³); 123 ვერხვი (219.778 მ³); 47 სოფორა (20.961 მ³); 1 ცაცხვი (6.76 მ³); 9 ხემყრალი (0.552 მ³); 54 ლეღვი (2.407 მ³).

საქართველოს წითელ ნუსხაში შესული სახეობები

დეტალურმა საველე ბოტანიკურმა კვლევამ გვიჩვენა, რომ კრწანისის ტყე-პარკის ტერიტორიის გარეთ პროექტის ზემოქმედების ზონაში არ ხვდება საქართველოს წითელი ნუსხის არც ერთი სახეობა, გარდა ხელოვნურად დარგული 17 ძირი კაკლისა. უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის არეალში გხვდება ზოგიერთი იშვიათი, საფრთხის ქვეშ მყოფი და მოწყვლადი სახეობა, როგორცაა: *Elaeagnus angustifolia* (იშვიათი სახეობა), *Pinus eldaric* (გაქრობის წინაშე მდგარი სახეობა).

2.8. ეკოლოგიური მდგომარეობის ანალიზი

საქართველოს მსხვილ ინდუსტრიულ ცენტრებში, სხვადასხვა პერიოდებში ფუნქციონირებდა ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაზე რეგულარულ დაკვირვებათა ქსელის საგუშაგოები(პოსტები) და მათზე წარმოებდა რიგი მავნე ნივთიერებების ატმოსფერული კონცენტრაციების ყოველდღიური სამჯერადი გაზომვა, ხოლო იმ დასახლებული პუნქტებისათვის, სადაც აღნიშნული მიმართულებით გაზომვები არ ტარდებოდა, დაბინძურების შესაბამისი მონაცემების დადგენა ხორციელდებოდა მოსახლეობის რაოდენობაზე დაყრდნობის საფუძველზე, ქვეყანაში მიღებული მეთოდური რეკომენდაციების შესაბამისად. უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად შეიზღუდა სრულყოფილი დაკვირვებების წარმოების შესაძლებლობა. ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ ქვეყანაში საგრძნობლად დაეცა ადგილობრივი სამრეწველო პოტენციალი და შესაბამისად, ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების ჯამური მახასიათებლების მნიშვნელობებიც. აქედან გამომდინარე, გარკვეულწილად, მიზანშეწონილია ადრინდელი რეკომენდაციებით განსაზღვრული მონაცემებით

სარგებლობა, გარემოს პოტენციური დაბინძურების მახასიათებლების დასადგენად – დასახლებული პუნქტის ინფრასტრუქტურის არსებული მდგომარეობის განვითარების პერსპექტივით, იმაზე გაანგარიშებით, რომ რეალურად შესაძლებელია ადრინდელი პერიოდისათვის უკვე მიღწეული გარემოს დაბინძურების მაჩვენებლების მიღება – შეჩერებული ან უმოქმედო საწარმოო პოტენციალის სრული ამოქმედების შემთხვევისათვის.

ჰაერის დაბინძურებაზე გავლენის მქონე მეტეოპარამეტრებისა და სხვა ძირითადი მახასიათებლების მნიშვნელობები მოცემულია ცხრილ 2.8.1-ში.

აღსანიშნავია, რომ მავნე ნივთიერებების საშუალო კონცენტრაციების მნიშვნელობებთან ერთად, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების დონის დახასიათების მიზნით გამოიყენება კონკრეტული ადგილმდებარეობის ატმოსფეროში მავნე ნივთიერებების ფონური კონცენტრაციები – დამაბინძურებელი ნივთიერებების კონცენტრაციათა ის მაქსიმალური მნიშვნელობები, რომელზე გადამეტებათა დაკვირვებების რაოდენობა არის მრავალწლიანი(არანაკლებ 5 წლის პერიოდის) რეგულარული დაკვირვებების მთლიანი რაოდენობის 5%-ის ფარგლებში. ფონური კონცენტრაციების მნიშვნელობები განისაზღვრება ცალ-ცალკე შტილისათვის(ქარის სიჩქარის მნიშვნელობა დიაპაზონში 0-2მ/წმ, რომელიც ხასიათდება დაბინძურების ერთ-ერთი ყველაზე არასასურველი ეფექტით) და ქარის სხვადასხვა გაბატონებული მიმართულებებისათვის. სამწუხაროდ, ყველა დასახლებულ ტერიტორიებზე არ ხერხდება სრულფასოვანი რეგულარული დაკვირვებების ორგანიზაცია და შესაბამისად, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების დონის ფაქტობრივი მნიშვნელობების განსაზღვრა. იმის გამო, რომ როგორც წესი, შედარებით პატარა ქალაქებში და მცირემოსახლეობიან დასახლებულ პუნქტებში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაზე დაკვირვებები პრაქტიკულად არ ტარდება. ასეთი ტერიტორიებისათვის, მავნე ნივთიერებებით ადგილმდებარეობის ატმოსფერული ჰაერის ფონური დაბინძურების მახასიათებლების დადგენა ხდება ქვეყანაში მიღებული წესით, რომელიც ეფუძნება დასახლებულ ტერიტორიაზე მოსახლეობის საერთო რაოდენობის მაჩვენებელს და ითვალისწინებს იმ ზოგად საწარმოო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ინფრასტრუქტურას, რომლის ფუნქციონირებაც მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია შესაბამისი დასახლებებისათვის (ცხრილი 2.8.2).

ცხრილი 2.8.1.

ატმოსფეროში დამაბინძურებელი ნივთიერებების გაბნევის პირობების გამსაზღვრელი მეტეოროლოგიური მახასიათებლები და კოეფიციენტები

მახასიათებლის დასახელება	მახასიათებლის მნიშვნელობა
ატმოსფეროს ტემპერატურული სტრატეფიკაციის კოეფიციენტი	200
რელიეფის კოეფიციენტი	1.0
წლის ყველაზე ცხელი თვისას ჰაერის საშუალო ტემპერატურა	24.1
წლის ყველაზე ცივი თვისას ჰაერის საშუალო ტემპერატურა	0.4
საშუალო ქართა ვარდის მდგენელები, %	
ჩრდილოეთი	1
ჩრდილო-აღმოსავლეთი	4
აღმოსავლეთი	6
სამხრეთ-აღმოსავლეთი	12
სამხრეთი	6
სამხრეთ-დასავლეთი	2
დასავლეთი	3
ჩრდილო-დასავლეთი	66
შტილი	37
ქარის სიჩქარე (მრავალწლიურ დაკვირვებათა გასაშუალოებით), რომლის გადაჭარბების განმეორადობაა 5%, მ/წმ	20.2

ცხრილი 2.8.2

ფონური კონცენტრაციებისათვის დადგენილი მნიშვნელობები დასახლებული ტერიტორიებისათვის მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით

მოსახლეობის რიცხვი (ათასი მოსახლე)	მავნე ნივთიერება			
	მტვერი	გოგირდის დიოქსიდი	აზოტის დიოქსიდი	ნახშირჟანგი
1	2	3	4	5
ნაკლები 10-ათასზე	0	0	0	0
10-50	0.1	0.02	0.008	0.4
50-125	0.15	0.05	0.015	0.8
125-250	0,2	0.05	0.03	1.5

დაგეგმილი საწარმოო საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, კონკრეტულ საწარმოო მაჩვენებლებზე დაყრდნობით, მოცემული ობიექტისათვის, გარემოში მავნე ნივთიერებათა გამოყოფის (ატმოსფეროში გამოფრქვევის) ზღვრულად დასაშვები ნორმატივების(შესაბამისად – ზდგ) პროექტების დამუშავება საშუალებას იძლევა დაბინძურების ყოველი კონკრეტული წყაროსათვის დადგინდეს მავნე ნივთიერებათა ემისიის რაოდენობა და ინტენსივობა. დაგეგმილი საქმიანობის საწარმოო ციკლის შესაბამისად, საჭიროა შეფასებული იქნას საქმიანობის ობიექტისაგან მავნე ნივთიერებათა ატმოსფერულ ჰაერში გამოფრქვევა.

აქედან გამომდინარე, მავნე ნივთიერებათა ატმოსფერულ ჰაერში ზღვრულად დასაშვები გამოფრქვევების პროექტების დამუშავება საშუალებას იძლევა

განხორციელდეს დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შედეგად ბუნებრივი გარემოს ხარისხობრივი ნორმების დაცვის შეფასება.

2.9. წყლის ობიექტების დაბინძურების მდგომარეობა

უშუალოდ საწარმოს ტერიტორიის უახლოესი მდინარეა მტკვარი.

აღნიშნული მდინარე მიეკუთვნება სამეურნეო-საყოფაცხოვრები წყალსარგებლობის კატეგორიის წყლის ობიექტებს, რომლისთვისაც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს “ზედაპირული წყლების გაბინძურებისაგან დაცვის სანიტარიული წესებითა და ნორმებით” (16.08.2001 წ.), აგრეთვე საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №425 დადგენილებით დამტკიცებული ”საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის ტექნიკური რეგლამენტი” დადგენილია შემდეგი მოთხოვნები:

ცხრილი 2.9.1.

ჟბმ	6 მგ O ₂ /ლ
ნიტრატები	45,0 მგ/ლ
ქლორიდები	350 მგ/ლ
ნიტრიტები	3,3 მგ/ლ
ნავთობპროდუქტები	0,3 მგ/ლ
გახსნილი ჟანგბადი	> 4 მგ/ლ
პოლიფოსფატები	3,5 მგ/ლ
pH	6,5-8,5
შეწონილი ნაწილაკები	ფონურთან მატება არაუმეტეს 0,75 მგ/ლ

2.10. ნიადაგის დაბინძურების საკითხები.

საწარმოს ფუნქციონირების შედეგად წარმოქმნილი, მავნე ნივთიერებების ემისიების გავლენას საწარმოს ტერიტორიის ზონის გარეთ ნიადაგურ საფარზე პრაქტიკულად ადგილი არ აქვს. ამას განაპირობებს ის გარემოება, რომ საწარმოო ტექნოლოგიური პროცესების ყველა ციკლის ფუნქციონირება-რეალიზაცია, არ წარმოქმნის ნიადაგის დაბინძურების შესაძლებლობას და შესაბამისად არ არსებობს წინაპირობა ნიადაგური ზედაპირის დაბინძურების წარმოქმნის მიმართულებით, კერძოდ საწარმოო პროცესში არ გამოიყენება ისეთი ნედლეული, რომელიც გამოიწვევს ნიადაგის დაბინძურებას. ასევე საწარმოდან გაფრქვეული მავნე ნივთიერებების ემისიები დასაშვებ ნორმას არ აღემატება და ის ვერ იქნება ნიადაგის დაბინძურების ფაქტორი.

2.11. რადიაციული ფონის შეფასება

ატმოსფეროს მიწისპირა ფენის რადიაციული მდგომარეობის დადგენისათვის გამა – გამოსხივების ფონის განსაზღვრისათვის, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ფუნქციონირებს საქართველოს გარემოს ეროვნული სააგენტოს ოპერატიული დანიშნულების სადგურები, რომელთა უკანასკნელი წლების რეგულარულ დაკვირვებათა მონაცემების საფუძველზე,

აღმოსავლეთ საქართველოში რადიაციული დაბინძურების ფონი შეადგენს 10-17 მიკრორენტგენს საათში, ქ. თბილისსა და მის შემოგარენში აღნიშნული მახასიათებელი არის 11-13 მიკრორენტგენი საათში. ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ გამა-გამოსხივების სიმძლავრე, მთელ საქართველოში ნორმის ფარგლებშია და დასაშვებად მიღებულ დონეზე 20-30 მკრ/სთ, გაცილებით ნაკლებია.

ზემოაღნიშნულის შედეგად, ზოგადად შეიძლება დავასკვნათ, რომ საკვლევ ტერიტორიაზე დადგენილი რადიაციული ფონი უმნიშვნელოა და აქ მომუშავე თუ მცხოვრებ ადამიანებს არავითარ საფრთხეს არ უქმნის.

კონკრეტულად, განხილვას დაქვემდებარებულ საწარმოში არ იგეგმება ისეთი მოწყობილობა-დანადგარების გამოყენება, რომლებიც შეიძლება წარმოადგენდეს რადიაციული გამოსხივების წყაროს და აქედან გამომდინარე არ წარმოებულა გაზომვების ჩატარება რადიაციულ ფონზე.

2.12. გარემოზე ფიზიკური ზემოქმედების ფაქტორები

2.12.1. ხმაური

ქვემოთ მოცემულია ხმაურის, ვიბრაციის, ელექტრომაგნიტური ველებისა და სხვა სახის ფიზიკური ზემოქმედების ანალიზი.

ხმაურის დონის ნორმების დაცვა რეგულირდება ტექნიკური რეგლამენტით „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე“

ეს ტექნიკური რეგლამენტი ადგენს აკუსტიკური ხმაურის დასაშვებ ნორმებს საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და განაშენიანების ტერიტორიაზე, ხმაურის არახელსაყრელი ზემოქმედებისაგან ადამიანების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით.

წინამდებარე ტექნიკური რეგლამენტი არ ვრცელდება:

ა) დასაქმებულთა მიმართ სამუშაო ადგილებზე და სამუშაო გარემოში წარმოქმნილ ხმაურზე;

ბ) საავიაციო, სარკინიგზო (მათ შორის, მეტროპოლიტენის), საზღვაო და საავტომობილო ინფრასტრუქტურაზე;

გ) საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლით გარანტირებული ადამიანის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებულ

დონისძიებებზე;

დ) დღის საათებში მიმდინარე სამშენებლო და სარემონტო სამუშაოებზე;

ე) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსთან შეთანხმებულ დასვენების, კულტურისა და სპორტის საჯარო

დონისძიებებზე;

ვ) საღმრთო მსახურების ჩატარებაზე, სხვადასხვა რელიგიური წეს-ჩვეულებებისა და ცერემონიების დროს განხორციელებულ აქტივობებზე.

ტექნიკური მოთხოვნები

1. ამ დოკუმენტით განსაზღვრული მიზნიდან გამომდინარე (ხმაურის დონის ექსპერტული შეფასება), ნორმირებადი პარამეტრია ხმაურმზომის A სკალით გაზომილი ბგერის დონე LA დბ A მუდმივი ხმაურის, ხოლო ბგერის ეკვივალენტური დონე LA_{ეკვდბ} A – არამუდმივი (ცვლადი) ხმაურის შემთხვევაში.

2. საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და განაშენიანების ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმები (ბგერის დონეები) განსაზღვრულია №1 დანართით.

3. აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმები განსხვავებულია დღის (08:00 სთ-დან 23:00 სთ-მდე) და ღამის (23:00 სთ-დან 08:00 სთ-მდე) პერიოდებისათვის.

ხმაურის მაჩვენებლები საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და განაშენიანების ტერიტორიებზე

1. აკუსტიკური ხმაურის დონის გაზომვის შედეგების ჰიგიენური შეფასება (სანიტარიულ-ჰიგიენური ექსპერტიზა) ტარდება ამ დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც ემყარება საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს (მაგ., ISO 1996-1: 2003.“

აკუსტიკა. გარემოს ხმაურის დახასიათება, გაზომვა და შეფასება“, ნაწილი 1. „შეფასების ძირითადი სიდიდეები და პროცედურები“; ISO 1996-2: 2007“ აკუსტიკა. გარემოს ხმაურის დახასიათება და გაზომვა“, ნაწილი 2).

2. ადგილობრივი მუნიციპალიტეტები უფლებამოსილნი არიან, განსაზღვრონ სპეციალური ზონები (მაგ.: ტურისტულად აქტიური ზონები და გასართობი ზონები, სადაც განთავსებულია რესტორნები, კაფეები, ბარები, ღამის კლუბები და ა.შ.), რომელთა მიმართ შეუძლიათ დააწესონ ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებისაგან განსხვავებული რეჟიმი.

3. საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და მათი განაშენიანების ტერიტორიაზე აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების დაცვის ზედამხედველობას ახორციელებს კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი კომპეტენციის მქონე სახელმწიფო ან/და მუნიციპალური ორგანო.

4. აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტებაზე პასუხისმგებელია ის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის საქმიანობის შედეგად საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და მათი განაშენიანების ტერიტორიაზე ხმაურის დონე აღემატება №1 დანართით დადგენილ ნორმებს.

5. თუ საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და მათი განაშენიანების ტერიტორიებზე ფიქსირდება ან მოსალოდნელია ხმაურის მაჩვენებლები, რომლებიც აღემატება (მოსალოდნელია აღემატებოდეს) №1 დანართით განსაზღვრულ მნიშვნელობებს, მაშინ ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირებმა, რომელთა საქმიანობის შედეგად წარმოიქმნება ხმაური, უნდა

